ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

**გორში მამა 14 წლის შვილის გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს**




გვ.7

**5 თებერვლიდან**

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მონტესუმას ასული**

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 2019 №30 (7885) ფასი: 60 თეთრი

# „მადლობა კალაძეს, მძევლად რომ არ აგვიყვანა“



## გედევან ფოფხაძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა

გვ.4

## „ამბოხებულებმა „ოცნება“ უნდა დატოვონ“



„უსამართლობისა და უსინდისობის სიმბოლოდ კი არის, მაგალითად, მურუსიძე ქცეული, მაგრამ მართლა სახელსა და გვარებზე ხომ არ აქვს საზოგადოებას გართულება?! მარტივ რაღაცას ვითხოვთ – ის მოსამართლეები, რომლებსაც სამარცხვინო გადაწყვეტილება აქვთ დაწერილი, აღარ უნდა იყვნენ უზენაეს სასამართლოში უვადო მოსამართლეებად“

გვ.3

## „ქართული ოცნების“ რღვევა დაიწყო“

პაატა დავითაია: „ხალხი ხელისუფლებას არჩევნების მოპარვას აღარ აპატიებს“

გვ.2





გვ.5

„საჭიროა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერებაც. ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ“

## ვახტანგ მაისაია: „სასულიერო პირის გატაცება ნიშნავს, რომ რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ საომარ მოქმედებებზე გადავიდა“

### სამართალი

გვ.7

**თამარაშვილზე მამაკაცი დაჭრეს**




ორმხრივი სროლა თბილისის ცენტრში



**მერაბ კვირიკაშვილს ავარიის აცილება არ შეეძლო**

რას ამბობენ ექსპერტები

**თბილისი-ზუგდიდის მიკროავტობუსი სენაკთან ხეს შეეჯახა**




17 ადამიანი დაშავდა



**ავტოავარიების შედეგად 2018 წელს 329 ადამიანი დაიღუპა**

### ეკონომიკა

გვ.6



**„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე მარიამ ქვრივიშვილი დაინიშნა**




**ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პიკის საათებში მეტროში მოცდის დრო 2.5 წუთამდე შემცირდეს**

**საპენსიო ფონდში 36 მილიონი ლარია მობილიზებული**



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**3** ოპოზიცია მაჩალიკაშვილის საქმეზე საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს

**5** შალვა ხაჭაპურიძე: „გამონათქვამების გამო სისხლის სამართლის წესით დასჯა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაა“

**6** კახა კალაძე: „სამშენებლო რეგულაციების გამკაცრება ძალიან მნიშვნელოვანია“

**5** ოკუპირებულ აფხაზეთში პასპორტებს ძალით არიგებენ

# „ქართული ოცნების“ რღვევა დაიწყო“

## პაატა დავითაია: „ხალხი ხელისუფლებას არჩევნების მოპარვას აღარ აპატიებს“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ აღარ საუბრობს ხელისუფლება ოკუპირებულ რეგიონებზე, ვბრუნდებით თუ არა რუსულ ორბიტაზე, რას შეცვლის ემიგრანტების აქტიურობა, როგორ მოხვდა საქართველო ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიცხვში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრება.**

***– ქართული ეკლესია რუსული ეკლესიის გავლენით უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებისგან თავს იკავებს. ჩვენი სასულიერო პირები რუსეთის პატრიარქს აღსაყდრების 10 წლისთავს ულოცავენ. ამ ფონზე რუსი ოკუპანტები საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან მამა დავით დურგლიშვილს იტაცებენ. ამას რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ?***

– რუსეთი არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებს. ის არის იმპერია და მას იმპერიული ზრახვები აქვს, ახორციელებს საქართველოს ტერიტორიების ანექსიას და ცდილობს, ეს ყველაფერი მაქსიმალურ კონტროლზე აიყვანოს.

საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან მამაოს გატაცება, ბორდერიზაცია, მავთულხლართების გავლება მიუთითებს იმაზე, რომ სანამ ჩვენ ისევ მოსკოვის მონები არ გავხდებით, ეს პროვოკაციები არ შეწყდება.

საეკლესიო თემებში რუსეთის ფედერაციის მხრიდან ღია მუქარა წამოვიდა. თავის ნამდვილ სახეს აღარც კი მალავენ, პირდაპირ თქვეს, რა ნაბიჯს გადადგამენ, თუ საქართველო უკრაინის ავტოკეფალიას აღიარებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ეკლესიის პოზიციაც მესმის. ისინი იძულებული არიან, თავი შეიკავონ უკრაინასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისგან.

***– ეკლესიის პოზიცია მართლაც გასაგებია, მაგრამ არა – ხელისუფლების. თქვენ თუ გესმით საქართველოს ხელისუფლების, რომელიც არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს პროვოკაციები თავიდან ავიცილოთ?***

– მე ის მესმის ძალიან კარგად, რატომ იქცევა საქართველოს ხელისუფლება ასე. ხელისუფლება ცდილობს, ყველაფერი დავიწყებას მიეცეს და არ მოხდეს თემის აქტუალიზება. ამიტომაც არ ლაპარაკობს არავინ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ვიღაცას თუ გაიტაცებენ ოკუპანტები, გვეუბნებიან, მერე რა მოხდა, უკან დააბრუნებენო.

დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს, მათ შორის ოკუპანტების მიერ ჩვენი მოქალაქეების გატაცებას, 9 წელსა და წინა ხელისუფლებას აბრალებს.

საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი უკვე აღარ დგას. გუშინ, 5 თებერვალს, გამოქვეყნდა კვლევა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რეიტინგში მოვხვდით.

მოდით, ისიც ვთქვათ, რამ გამოიწვია ეს? ამ ქვეყანაში ბევრი რამე გაკეთდა ამისთვის, მაგრამ შედეგი დადო შარშან ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა.

როცა ასეთი რამეები ხდება, რუსეთის საქმე კეთდება. ჩვენ აღარ ვართ თავისუფალი და ვუახლოვდებით აზიურ ქვეყნებს. არც ნატოში გვიღებენ და ევროპის მიმართულებითაც პრობლემებია.

***– ევროპის მიმართულებით რა პრობლემებია?***

– შესაძლოა, ვიზალიბერალიზაცია შეგვიჩერონ. ამ ფონზე ხდება ჩვენს ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლება. ამის გამო რუსეთს საერთაშორისო დონეზე პასუხს არ ვთხოვთ.

„ქართული ოცნება“ თავისი პასიურობით იხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას. თავად ფიქრობენ, რომ იხანგრძლივებენ, მაგრამ ასე არ არის საქმე.

თქვენ მოქმედი ჟურნალისტი ხართ, მე – მოქმედი პოლიტიკოსი. რომ დავსხდეთ, ძალოვანი მინისტრების გარდა, მთავრობის სხვა წევრებს ვერ გავიხსენებთ. შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების დროს ყველამ იცოდა მთავრობის სრული შემადგენლობა.

მაშინ ბევრი აქტუალური თემა იყო. მინისტრები ხშირად გამოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ ამ თემებზე. ახლა არავინ ჩანს და, შესაბამისად, რამდენიმე მინისტრის გარდა, საზოგადოება არავის აღარ იცნობს.

მინისტრებს შეიძლება ძალიანაც უნდათ ამა თუ იმ საკითხზე თავისი პოზიციის დაფიქსირება, მაგრამ არ უნდათ, რომ ივანიშვილს აჩვენონ თავი.

***– არ უყვარს ივანიშვილს აქტიური ადამიანები?***

– ჩემი აზრით, მას არ მოსწონს ხალხი, ვინც აქტიურობს. აქტიურ პირებს მათ ვეძახი, ვინც ინიციატივებს იჩენს. საბჭოთა კავშირის დროს იყო ასეთი გამოთქმა – დიდი ინიციატივა დასჯადია. ასეთი ვითარებაა ახლანდელ მთავრობაშიც.

მინისტრებიც სხედან ჩუმად და ყველაფერს აკეთებენ, რომ მათმა გვარმა სადმე არ გაიჟღეროს. ხალხი როცა მიადგება და პასუხს სთხოვს, ამბობენ, მე რა ვქნა, მე რა შუაში ვარ, აგერაა ბიძინაო.

ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს არაერთხელ უკითხავს ჩემთვის, გვეშველება რამეო. ხელისუფლებაში თავად არიან და სხვას ეკითხებიან, გვეშველება თუ არა რამეო.

ეს სიჩუმე და პასიურობა თანდათან აისახება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ეკონომიკასა და მთლიანად ჩვენს ცხოვრებაზე.

მოდით, ავიღოთ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა, რომელიც არაფრის მაქნისი არ არის. საახალწლოდ ახალი მანქანები შეიძინეს.

***– რატომ შეიძინეს ახალი მანქანები?***

– ასე მოუნდათ და ამიტომ. აფხაზეთის მთავრობა არავის ახსოვს და არც თვალში ხვდებიან ვინმეს. შესაბამისად, აკეთებენ იმას, რაც სურთ. მე რომ არ მეთქვა ავტოპარკის განახლების შესახებ, შეიძლება, ვერც ვერავის გაეგო.

***– ეს ყველაფერი როდემდე უნდა გაგრძელდეს?***

– ამას ამომრჩეველი წყვეტს. ჩვენმა ამომრჩეველმა საპრეზიდენტო არჩევნებში ნამდვილი გმირობა გამოიჩინა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ თავისი კანდიდატი გაეყვანა. ამიტომაც არის ახლა საქართველო ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიგში.

წინ საპარლამენტო არჩევნებია და მინდა, ხელისუფლებას ვუთხრა, რომ ასეთ რამეს მათ ხალხი აღარ აპატიებს. შეშფოთებასა და უკმაყოფილებას გამოხატავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც.

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა თქვა, ვწუხვართ, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩვენს ნათქვამს არ უსმენსო. ამაზე მეტი რაღა გვითხრან? დიპლომატიაში ამაზე მწვავე განცხადებები არ კეთდება.

ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს ძალიან დიდი პრობლემები აქვს. ბუჩქებში ჯდომით თავს ვერავინ გადაირჩენს.

„ოცნებასაც“ და მოსახლეობასაც გავახსენებ შევარდნაძის პერიოდს. ის რუსეთთან დიდ დათმობებზე წავიდა, მინისტრებად რუსეთის ხალხი ჰყავდა დანიშნული – ვარდიკო ნადიბაიძით დაწყებული, იგორ გიორგაძით დამთავრებული.

რუსეთის მოთხოვნებს ასრულებდა, მაგრამ მოაგვარა რომელიმე კონფლიქტი? ვერც კონფლიქტები მოაგვარა და ხელისუფლებაც დაკარგა.

მკითხეთ, სადამდე გაგრძელდება ეს ყველაფერიო. მანამდე გაგრძელდება, სანამ ხალხი არ ამოიღებს ხმას. ხალხი ხმას აუცილებლად ამოიღებს და არჩევნების მოპარვას აღარავის აპატიებს.

ვხედავთ, რომ ღარიბი უფრო ღარიბდება, მდიდარი – მდიდრდება. საშუალო ფენა აღარ არის ქვეყანაში.

ამ ხელისუფლების ოპონენტი კი ვარ, მაგრამ ქვეყანას ვგულშემატკივრობ. რამე კარგი თუ გაკეთდება, ძალიან გავიხარებ, მაგრამ იმ დონეზეა ხელისუფლება მისული, რომ რაც არ უნდა კარგი გააკეთონ, ყველაფერი მაინც ნეგატივში მისდით. ესეც დიდი პრობლემაა.

***– მოდით, ოკუპირებულ რეგიონებზეც ვისაუბროთ. თბილისი აფხაზეთსა და ცხინვალს საერთოდ აღარ ახსენებს. შეეგუა ჩვენი ხელისუფლება მათ დაკარგვას?***

– ვინ უნდა ილაპარაკოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – ციხელაშვილმა, ყოლბაიამ თუ სანაკოევმა? კაცი არ არის ხელისუფლებაში, ვინც ამ თემას წამოსწევს.

***– სამაგიეროდ, სეპარატისტები გრძნობენ თავს კარგად. სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში უკვე ძალიან თავისუფლად დადიან.***

– სალვადორის თემაზე მე და რუსთავი 2-ს რომ არ აგვიტეხა ხმაური, არავინ არაფერს გაიგებდა.

ხანდახან ექსპერიმენტებს ვატარებ – ასეთ თემებზე ხმას არ ვიღებ და ველოდები, ექნება თუ არა ამაზე ვინმეს რეაქცია. ამ მიმართულებით რეაგირება არ არის. სამწუხაროა, მაგრამ ეს არის რეალობა.

***– 10 თებერვალს ლიეჟში ემიგრანტები დიდ შეხვედრას მართავენ. შეცვლის მათი აქტიურობა საქართველოში არსებულ სიტუაციას?***

– უნდა შეცვალოს. ყველა მათგანს უნდა საქართველოში დაბრუნება და, რა გასაკვირია, რომ მათ აქ სიტუაციის გაუმჯობესება სურთ. არ ვიცი, შეიცვლება თუ არა რამე ამ შეხვედრის შემდეგ, იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ხელისუფლების რღვევის პროცესი დაწყებულია და ამას ველარაფერი შეაჩერებს.

***– „ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებამდე მიაღწევს თუ ვადამდელი არჩევნები გველოდება?***

– ამაზე კომენტარის გაკეთება მიჭირს. ისე უცნაურად იქცევა ეს ხელისუფლება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. კაცმა არ იცის, ხვალ რა კანონს მიიღებენ. განათლების მინისტრმა სამეგრელოში სტუმარმასპინძლობის სასწავლებლის გახსნა დააანონსა. ამის მერე რაზე უნდა ილაპარაკო ადამიანმა. „ოცნებას“ ლოგიკა არ გააჩნია. ასე რომ, მათი პროგნოზირებაც ძნელია.

## საპატრიარქო: „იმ მღვდელმსახურს, რომელსაც მიაჩნია, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარება დასაშვებია, შეუძლია, ეს განახორციელოს, თუმცა ეს იქნება ამ სასულიერო პირის პირადი პასუხისმგებლობა“



– ვინაიდან დეკანოზი გიორგი თვლის, რომ იგი მართალია და ითხოვს ზიარებას, ხოლო სასამართლო მას დამნაშავედ აცხადებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ნებისმიერ მღვდელმსახურს, რომელსაც მიაჩნია, რომ აღნიშნული პიროვნების ზიარება არის შესაძლებელი, შეუძლია ეს განახორციელოს, თუმცა ეს იქნება ამ სასულიერო პირის პირადი გადაწყვეტილება და პირადი პასუხისმგებლობა, – ამის შესახებ ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში, რომელიც საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

აღნიშნული განცხადებით საპატრიარქო მსჯავრდებული დეკანოზის ძმის, თორნიკე მამალაძის მიერ საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე კარვის დადგმასა და მის მოთხოვნებს ეხმაურება.

– ა.წ. 4 თებერვალს თორნიკე მამალაძის მიერ საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე კარვის დადგმამ იმ მოთხოვნით, რომ მისი ძმა, დეკანოზი გიორგი მამალაძე აზიარონ, საერთოდ, საერო ხასიათი და ეკლესიაზე ზეწოლის თანამედროვე სახე შესძინა ამ საქმეს, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებლად მიგვაჩნია.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ, როგორც ადრე განვაცხადეთ, ველოდებოდით ძიების დამთავრებას, რათა არსებული დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეფასება მისცემოდა განვითარებულ მოვლენებს.

სამივე ეტაპზე გამოძიებამ გიორგი მამალაძეს ბრალი დასდო, მაგრამ, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, წმინდა სინოდისთვის მასალების გადმოცემაზე პროკურატურამ უარი ახლახან გვითხრა. დასჯადია საგამოძიებო მასალების სხვისთვის მიწოდებაც, როგორც დამნაშავის, ისე დაზარალებულის მხრიდანაც.

ვინაიდან დეკანოზი გიორგი თვლის, რომ იგი მართალია და ითხოვს ზიარებას, ხოლო სასამართლო მას დამნაშავედ აცხადებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ნებისმიერ მღვდელმსახურს, რომელსაც მიაჩნია, რომ აღნიშნული პიროვნების ზიარება არის შესაძლებელი, შეუძლია, ეს განახორციელოს, თუმცა ეს იქნება ამ სასულიერო პირის პირადი გადაწყვეტილება და პირადი პასუხისმგებლობა, – ნათქვამია განცხადებაში.

## დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ ამ გადაწყვეტილებით დამთავრებულია... ხალხი გაუშვებს პოლიტიკიდან“



დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ ხალხი პოლიტიკიდან გაუშვებს.

– ადამიანები, რომლებიც ღირებულებების მატარებლები არიან და მათზე ასე საუბრობენ, მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ დამთავრებულია, შიგნით აღარაფერი არსებობს. თუ ახლა ქუჩიდან მოსული ხალხით უნდა შეივსოს, რომელთაც არანაირ კავშირი არ ჰქონია „ქართულ ოცნებასთან“, ეს მათი არჩევანი იქნება, მაშინ შეუძლიათ, სახელიც გადაირქვან იმიტომ, რომ ეს ისეთი სახელი არ არის, რომელიც პოლიტიკასთანაა კავშირში. ოცნება არ არის პოლიტიკური სახელი, პოლიტიკასთან ბევრად ახლოს რეალური საუბარია, მაგრამ ხალხმა ოცნება მოიყვანა პოლიტიკაში და ამ გადაწყვეტილებებით მე ვფიქრობ, რომ ოცნებას გაუშვებს პოლიტიკიდან, – ამბობს დავით ჭიჭინაძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ამბოხებულებმა „ოცნება“ უნდა დატოვონ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, ჟიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო თორნიკე, როგორ ფიქრობთ, მმართველ პარტიაში განვითარებული მოვლენების ფინალი შეიძლება „ქართული ოცნების“ გაყოფა იყოს? გედევან ფოფხაძე ამბობს, შეიძლება პარტია დატოვოს, რადგან უკვე საქმე დასწრებაზეა, კახა კალაძე კი პასუხობს, რომ კარი ღიაა.***

– მხოლოდ გედევან ფოფხაძის გუნდიდან გასვლა ბევრს არაფერს ნიშნავს. გუნდში ეს განხეთქილება საკმაოდ დიდი ხნის წინ არის დაწყებული. მოსამართლეთა სია ამ პროცესების მხოლოდ ლაკმუსად იქცა.

ერთ მხარეს დგანან ლევან გოგიჩაიშვილი, ეკა ბესელია და სხვები, რომლებიც აცნობიერებენ, რომ მოსამართლეთა ეს სია თავად „ქართული ოცნებისთვის“ იქნება დამღუპველი. როგორც ჩანს, პირადი მოტივიც აქვთ. პარტიაში არსებული განხეთქილება გამოვლენილია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

რეალურად პროცესი ახლა დაიწყო. თბილისში პარლამენტის საგაზაფხულო სესია საინტერესოდ დაიწყო. სხდომაზე იმდენი „მარგალიტი“ დაიყარა...

***– რომელს გამოყოფდით?***

– რა გითხრათ, „პორნო დამოკიდებულიდან“ დაწყებული, რომელიც ერთ-ერთი დეპუტატის მიგნება იყო. სხვაც ბევრი იყო. როგორც ჩანს, მათ ეშინიათ, რომ საზოგადოების დაცინვის ობიექტები არ გახდნენ და თავს ასე იზღვევენ.

***– მოსამართლეების საკითხი რამდენად მნიშვნელოვანია თავად ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვის?***

– რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბევრი ფული იშოვეს და თუ აქ არ იცხოვრებენ, საზღვარგარეთ წავლენ და იქ იცხოვრებენ, მაგრამ ჩვენ, ხალხი, არსად სხვაგან ცხოვრებას არ ვაპირებთ.

შესაბამისად, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ამ საზოგადოებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელისუფლებისთვის. ეს უნდა გავაცნობიეროთ!

***– თუ თავად ჩინჩალაძე არ იქნება სიაში, შეიძლება მის მიერ დაწერილი სია მიიღოს პარლამენტმა?***

– უსამართლობისა და უსინდისობის სიმბოლოდ კი არის, მაგალითად, მურუსიძე ქცეული, მაგრამ მართლა სახელსა და გვარებზე ხომ არ აქვს საზოგადოებას გართულება?! მარტივ რაღაცას ვითხოვთ – ის მოსამართლეები, ვისაც სამარცხვინო გადაწყვეტილება აქვს დაწერილი, აღარ უნდა იყვნენ უზენაეს სასამართლოში უვადო მოსამართლეებად.

კრიტერიუმებზე უნდა დაწყებულიყო მსჯელობა, ერთ-ერთი მოთხოვნა უნდა იყოს, რომ მოსამართლეს თავის პროფესიულ ბიოგრაფიაში არ უნდა ჰქონდეს არც ერთი ლაქა.

***– ეს უფრო პოლიტიკური პროცესია, პოლიტიკაში გადაიზარდა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ სასამართლოს პოლიტიკაში ნუ გარევთო.***

– თავად უქვემდებარებენ სასამართლო სისტემას პოლიტიკას და პოლიტიკურ პროცესს. „ოცნების“ პოლიტსაბჭოზე იღებენ სასამართლო სისტემაზე გადაწყვეტილებას და პოლიტიზირებას ჩვენ გვაბრალებენ?! ეს სრული აბსურდია.

***– რად უღირს ივანიშვილს, რომ ამ საკითხზე საზოგადოების წინააღმდეგ წავიდეს, მით უფრო, ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია? თუ დაკვეთის შესრულებაზეა საუბარი, მას მურუსიძისა და ჩინჩალაძის გარდა სხვებიც შეასრულებენ.***

– თუ მართლა ასე ფიქრობს, რომ მხოლოდ მურუსიძე და ჩინჩალაძე არიან ის ადამიანები, ვინც დაკვეთას შეასრულებენ, არ ვიცი, არ მესმის!

საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ ორი ფაქტორიდან გამომდინარე გაიმარჯვა: ერთი იყო ხელების გადაგრეხვა და მეორე – მიშა მოდის, მიშა მოდის, ძახილი. ფაქტია, გაუვიდათ.

2018 წელს თუ გაგვივიდა, რატომ არ გაგვივა თუნდაც 2020 წელს?! ასე ფიქრობენ, ეს არის და ეს. როგორც ჩანს, მათი არჩევნების წაგების შიში გაუქრათ. რეალურად შერჩათ, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, შერჩათ. 2020 წელსაც იგივეს განმეორებას აპირებენ, ამისთვის კი მორჩილი მოსამართლეები სჭირდებათ.

***– იგივე სცენარმა შეიძლება იმუშაოს?***

– ახალი არაფერი არ მოუფიქრებიათ. 7 წელი ერთი და იგივე ტრიალებს, მიშა მოვა! მიშა მოვა! ახლა ამას დაემატა ძალადობა.

***– შეიძლება ისე განვითარდეს მოვლენები, რომ პარლამენტში ახალი ფრაქცია მივიღოთ და ამბოხებულებმა დატოვონ მმართველი პარტია?***

– თუ მათ პოლიტიკური ამბიცია აქვთ, თუ აქვთ თავმოყვარეობა და მართლაც აწუხებთ მოსამართლეების საკითხი და თუ მართლაც დადგა საკითხი ისე, რომ ეს სია უნდა „გაათრიონ“ პარლამენტში, მაშინ ამ ადამიანებმა „ქართული ოცნება“ უნდა დატოვონ. ეს, ბუნებრივია, ჩემი აზრია.

# ოპოზიცია მაჩალიკაშვილის საქმეზე საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს

## ნიკა მელია: „ყურით მოვიყვანოთ გომელაური და ვათქმევინოთ, რატომ დახვრიტა ეს ადამიანი საკუთარ ლოგინში“

შორენა მარსაგიშვილი

**შვილმოკლული მამები ისევ შვილების მკვლელების დასჯას ითხოვენ. ისინი თვეებია, პარლამენტთან მართავენ აქციას, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ხელისუფლება არც დათუნა სარალიძისა და არც თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეების გამოძიებას ჩქარობს.**




დათუნა სარალიძის საქმეზე გასულ წელს პარლამენტში დროებითი კომისია იყო შექმნილი. კომისია ოპოზიციის მოთხოვნით შეიქმნა. მართალია, მოზარდის მკვლელები ახლაც თავისუფლად დადიან, მაგრამ საზოგადოებამ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ბევრი დაფარული დეტალი გაიგო.

პანკისში 2017 წლის დეკემბერში ჩატარებულ სპეცოპერაციას 18 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი ემსხვერპლა. გარდაცვლილის ოჯახი დღემდე ამაოდ ითხოვს დამნაშავეების დასჯას.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ოპოზიცია პარლამენტში გეგმავს ხმაურის ატეხას. ფრაქცია ნაციონალურმა მოძრაობამ პანკისის სისხლიანი სპეცოპერაციის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ნიკა მელიას თქმით, ამ საქმეზე ბევრი კითხვაა და მას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. მელია მიიჩნევს, რომ ამ საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა აუცილებელია.

ნიკა მელიას განმარტებით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად, პარლამენტის ახალი რეგლამენტის თანახმად, 50 დეპუტატის თანხმობაა საჭირო.

– ძვირფასო კოლეგებო, „ქართული ოცნებიდან“ თქვენ ის ადამიანები ხართ, რომლებსაც გიყვართ მუდმივად მორალური კატეგორიებით საუბარი, რომ აი, თქვენ რა მაგრები, დიდსულოვნები ხართ, რა შინაგანი ძალა გაქვთ, რომლითაც იწესრიგებთ საქციელს ყოველთვის და ჩვენ რა ცუდები ვართ. თვეებია, ეს ადამიანი კარავში ცხოვრობს და ერთი წელია, რაც შვილი დაუხვრიტეს საკუთარ სახლში, შეუვარდა სახელმწიფო და დახვრიტა, – განაცხადა მელიამ.

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის თქმით, პარლამენტმა სუსის უფროსი უნდა დაიბაროს და მას ათქმევინოს სიმართლე პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე.

– აქ რა შუაშია ოპოზიცია, რა შუაშია ეს ჯანდაბა ნაციონალური მოძრაობა, თქვენი გადმოსახედიდან და სისხლისმსმელი ნიკა მელია? სახლში რომ მიხვალთ თქვენ, თქვენც ხომ გყავთ შვილები, მეუღლეები, ნათესავები, თქვენ ხომ ჩვენზე უკეთესები ხართ, ადექით და გამოიძიეთ. აიძულეთ გომელაური, ყურით მოვიყვანოთ და ვათქმევინოთ ამ ადამიანს, რატომ დახვრიტა ეს ადამიანი საკუთარ ლოგინში.

ჩვენ დავარეგისტრირეთ უკვე ბიუროზე მოთხოვნა დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის თაობაზე მაჩალიკაშვილის საქმესთან მიმართებით, ახალი რეგლამენტით სულ რაღაც 50 დეპუტატის თანხმობა სჭირდება, რომ დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნას, ანუ 20-მა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა უნდა გაბედოს და უარი არ თქვას, ხელი ასწიოს და თანხმობა განაცხადოს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ერთხელ და სამუდამოდ ნათელი მოეფინოს, – აღნიშნა ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

# ანა დოლიძე: „ოცნება“ ცდილობს, მარტივი ხრიკით გამოძვრეს და თქვას, რომ ყველა ბუჩქის უკან „ნაცმოძრაობა“ზის“

– „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადება არაადეკვატურია. „ოცნება“ ცდილობს, ძალიან მარტივი ხრიკით გამოძვრეს და თქვას, რომ ყველა ბუჩქის უკან ნაციონალური მოძრაობა ზის, – ასე აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებას.

როგორც დოლიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, „ქართულ ოცნებას“ აწყობს ნაციონალური მოძრაობის არსებობა, რათა მათ მუდმივად მიუთითონ განვლილ 9 წელზე.



– ეს განცხადება არის არაადეკვატური. როგორც ყველა სხვა პრობლემასთან მიმართებით, იქნება ეს ჭიდაობის ფედერაცია, სარალიძის საქმე თუ სასამართლო, აქაც „ქართული ოცნება“ ცდილობს, ძალიან მარტივი ხრიკით გამოძვრეს და თქვას, რომ ყველა ბუჩქის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ ზის. რა თქმა უნდა, ეს არის უბრალოდ ხერხი, რომ რეალური პრობლემიდან გადაიტანონ ყურადღება „ნაციონალურ მოძრაობაზე“. რეალური პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოში გაბატონებულია „კლანი“ და ეს კლანურობა უკვე ძალიან ბევრ სფეროს ახასიათებს და არა მარტო სასამართლოს. როგორც ჩანს, ეს „კლანი“ ატარებს ვიღაცის ინტერესებს და ამიტომ იცავს მას ხელისუფლება. ხრიკი, რომ ყველა პრობლემასთან მიმართებით გადაიტანონ ყურადღება „ნაცებზე“ აჩვენებს, რომ თავად „ოცნებას“ ძალიან აწყობს ნაციონალური მოძრაობის არსებობა და ძალიან ეშინია, არ გამოჩნდეს პოლიტიკური ძალა, რომელსაც არ ექნება ბიოგრაფიაში სისხლიანი 9 წელი. ასეთი ძალა დაასრულებს სწორედ „ქართული ოცნების“ არსებობას. ამიტომ, არის თუ არა სადმე ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად ამისა, ისინი თავადვე აძლიერებენ მას, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის შესაძლებლობა სისხლიან 9 წელზე მითითების, – განაცხადა დოლიძემ.

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები არ შემდგარა, არჩევნები მოიპარეს“

„საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები არ შემდგარა, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებიო მოიპარეს,“ – ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ გააკეთა.



საქართველოს მესამე პრეზიდენტი ბრიუსელში გამართულ ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკურ ასამბლეას დაესწრო. მიხეილ სააკაშვილი დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა და საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ისაუბრა.

ევროპის ყველაზე დიდი პოლიტიკური ოჯახის შეკრებაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ საქართველოში ჩატარებული არჩევნები იყო.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ შეხვედრაზე, საქართველოში ჩატარებული არჩევნების შესახებ გამართულ დისკუსიაში ყველა ჩაერთო.

– თუ ევროპა ხმას იღებს ვენესუელაზე, აქ ყველამ დაიწყო ლაპარაკი, საქართველოზე რატომ არ ვიღებთ ხმასო. სხვათა შორის, მოლდოვაში ზუსტად ასეთი ოლიგარქიული სიტუაციაა და ევროპარლამენტმა აიძულა ევროკავშირი, შეეწყვიტა ევროპული დახმარება მოლდოვის მთავრობის მიმართ და ზუსტად იგივე პერსპექტივა ელოდება საქართველოს ამ სურათის ფონზე, რაც არის. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები არ შემდგარა, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები მოიპარეს. ის ქალი, რომელიც იქ ზის, არ შეიძლება, მას ლეგიტიმურად ეწოდოს პრეზიდენტი. ის, გარდა იმისა, რომ პოლიტიკურად თოჯინაა, არ არის არჩეული და როდესაც არჩევნები არ ჩატარებულა და არ არის არჩეული, ხალხმა უნდა მიმართოს სხვა დაცვის საშუალებებს, ხალხმა უნდა დაიცვას თავის თავი და, მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი ჩვენ ამოვიღებთ ხმას, აქ გვექნება სრული მხარდაჭერა. დღეს დავინახე, ისეთი დისკუსია იყო, ყველა ისე უცებ ჩაერთო, უცებ ყველას თვალები აუკიაფდა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# სოფელ ნიქოზის განაპირას დაკავებული სასულიერო პირი გაათავისუფლეს




სოფელ ნიქოზის განაპირას, საოკუპაციო ხაზთან გუშინ დაკავებული სასულიერო პირი გაათავისუფლეს, – აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაუდასტურეს.

დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა ქართველ სამართალდამცველებს ნიქოზთან დაკავებული სასულიერო პირი ერგნეთში გადასცეს. მამა დავით დურგლიშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში გადაიყვანენ. მას კომენტარი არ გაუკეთებია.

# შალვა ხაჭაპურიძე: „გამონათქვამების გამო სისხლის სამართლის წესით დასჯა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაა“

ლელა მდივანი

**ცილისწამება, ბილწსიტყვაობა, „ფეიკნიუსების“ გავრცელება, სიტყვით ძალადობა, შესაძლოა, დასჯადი გახდეს. შესაბამისი ინიციატივა მედიასთან ჯერ კიდევ პირველი შეხვედრის დროს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გააჟღერა და მას შემდეგ ეს თემა კვლავ დღის წესრიგში დგას.**

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ „სიტყვით ძალადობა, შეურაცხყოფა, ცილისწამება და ბილწსიტყვაობა უკვე ყოველდღიურობის ნაწილი გახდა და ეს არის სერიოზული პრობლემა, რომელსაც დაფიქრება და შესაბამისი ზომების მიღება სჭირდება“, თუმცა იურისტთა ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და დემოკრატიისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევს.

იურისტი შალვა ხაჭაპურიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მსგავსი რეგულაცია, რომელიც მოთხოვნის უფრო დაბალი სტანდარტის დაწესება გულისხმობს, ისეთ მყიფე დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მიუღებელია და იმ ალტერნატიული გზების შესახებ გვიყვება, რაც ამ ტიპის რეგულაციებს ჩაანაცვლებს.



**„კვირიკაშვილის გინებაზეც გამოითქვა მოსაზრებები, ხულიგნობა ხომ არ ჩაიდინაო“**

***– როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში ახალი რეგულაციის მიღების საჭიროება, რომელიც ბილწსიტყვაობის, ცილისწამებისა და „ფეიკნიუსების“ შეზღუდვას გულისხმობს, დგას?***

– ის სტანდარტი, რომელიც ჩვენ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით გვაქვს, პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, საკმაოდ მაღალია. ეს არის ამერიკული მოდელი ევროპულ მოდელზე უფრო მაღლა მდგომია და, მე ვფიქრობ, ჩვენი ტიპის საზოგადოებისთვის ეს სტანდარტი, შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ იცით რა?! ჩვენ მანამდე უნდა მივიდეთ და ხომ ხედავთ, რა აგრესიაა საზოგადოებაში და ეს აგრესია რაღაცნაირად უნდა შევაკავოთ. დღევანდელი ჩვენი კანონმდებლობა ამ კუთხით როგორია, იცით?! ვთქვათ, ვიღაც ერთმა პიროვნებამ მეორეზე თქვა, რომ მკვლელია. მან კი არ უნდა ამტკიცოს იმ მეორეზე, რომ მკვლელია, არამედ იმან, ვიზეც თქვეს, რომ მკვლელია, მან უნდა ამტკიცოს, რომ მკვლელი არ არის და მტკიცებულებაც უნდა მოიტანოს ამის შესახებ. ეს ის სტანდარტია, რაც დღეს გვაქვს. იურისტების მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ უნდა შემოვიღოთ ისეთი სტანდარტი, როდესაც ვიღაც ამბობს მეორე პირზე, რომ მკვლელი არის, ამ პირმა, ვინც ბრალს სდებს, უნდა მოიტანოს მტკიცებულება ამის შესახებ და სასამართლოსაც თავად წარუდგინოს. აი, ამაზეა, მე როგორც მესმის, მსჯელობა.

***– ზოგადად, ამ რეგულაციების შემოღება, თქვენთვის, როგორც იურისტისთვის, მისაღებია? გამოხატვის თავისუფლება ხომ არ დაირღვევა ამით რაღაც მხრივ?***

– რა თქმა უნდა, ჩემთვის მიუღებელია, ვინაიდან მოთხოვნის უფრო დაბალი სტანდარტის დაწესება აბსოლუტურად მიუღებელია ისეთ მყიფე დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ჩვენ, ასე ვთქვათ, ნახევარი ნაბიჯით დემოკრატიისკენ ვართ გადახრილი, ნახევარი ნაბიჯით ტირანიაში ვიმყოფებით და ხანდახან არის მომენტები, როცა კარგა ხანს გვიწევს ამ მხარეს ყოფნა და არის მომენტები, როცა მართლა ტირანიაში ვართ. ამიტომ აქ გამოხატვის, სიტყვის თავისუფლების სტანდარტის შეზღუდვა, მე ვფიქრობ, რომ საკმაოდ საფრთხილო თემაა და, უფრო მეტიც, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მიუღებელი და დაუშვებელია. ჯობს, სასამართლოში იდავოს ადამიანმა, წააგოს და ვერ დაადასტუროს, ვიდრე ეს სტანდარტი შევზღუდოთ და რაღაც ახალი გამოვიგონოთ, მით უმეტეს, ახლა ისეთი პოლიტიკური გუნდის ხელში, რომელსაც ძალიან დაბალი პოლიტიკური განათლება და ძალიან დაბალი პოლიტიკური თვითშეგნება აქვს და სამშობლოსა და სახელმწიფოს გაგება მათთვის არის ერთი ჯიბე ქისის გავსების ტოლფასი. ასეთი ტიპის პოლიტიკოსების ხელში საჯიჯგნად ჩაგვიგდოს მნიშვნელოვანი კანონი, რომელმაც შეიძლება, სერიოზულად შეზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, აბსოლუტურად მიუღებელია. ამაზე შემდგომში შეიძლება იმსჯელოს ჩვენი შვილიშვილების, შვილების თაობებმა, რომლებსაც განათლება ექნებათ მიღებული, ვთქვათ, მიუნხენის, ლონდონის, ჰარვარდის უნივერსიტეტებში. იქ ექნებათ ნაცხოვრები, იქაური სტილი ექნებათ აღებული, ანუ დაახლოებით განმეორდება თერგდალეულთა თაობა, რომელთაც შეეძლებათ, ახალი სიტყვა პოლიტიკაში და გამოხატვის თავისუფლებაში თქვან. ამ ჩვენი პოლიტიკოსების შემხედვარე კიდევ, რომლებიც, კაცმა არ იცის, ჩანაწერებს თვითონ აკეთებენ თუ ყოფილი ხელისუფლების ჩანაწერებს ავრცელებენ, საუბარი უკვე სასაცილოა და ამის წინააღმდეგიც კი ვართ ჩვენ, ადვოკატები.

***– იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ ბილწსიტყვაობა, თუ ეს ხულიგნობა არ არის, როგორც ამას სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმა ახასიათებს, ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში არ გადადის, დასჯადი არ უნდა იყოს. გამოდის, რომ იღებთ ამ აზრს.***

– რა თქმა უნდა, ვეთანხმები. იუსტიციის მინისტრს სტრასბურგის სასამართლოში აქვს ნამუშევარი და მან ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. უფრო მეტიც, საინტერესო ქეისია იგივე კვირიკაშვილის გინება პარლამენტში. მაშინაც გამოითქვა მოსაზრებები, ხომ არ ჩაუდენია მას ხულიგნობა. არავითარი ხულიგნობა არ ჩაუდენია კვირიკაშვილს. ვერც ნორმის ფარგლებში ჯდებოდა ეს ქმედება, თუმცა სისხლის სამართლის დანაშაული არ ყოფილა. საერთოდ, ამ გამონათქვამების გამო როგორ შეიძლება, ადამიანებმა იმსჯელონ სისხლის სამართლის წესით დასჯადობაზე. ეს არის საბჭოთა კავშირში დაბრუნება. ჩვენ, სამწუხაროდ, ერთ-ერთი გაუნათლებელი ერი აღმოვჩნდით, ჩვენდა საუბედუროდ, ამ 30 წლის განმავლობაში. გადახედეთ ჩვენი ძველი საზოგადო მოღვაწეების სალიტერატურო ენას, მათ გამონათქვამებს, მათ აზრებს და გადავხედოთ დღევანდელი საზოგადო მოღვაწეების მეტყველებას, ლოგიკას.

მე ვფიქრობ, აქ განათლების მთელი სისტემა უნდა იყოს ჩართული. უნდა იყოს ეთიკის კოდექსები თითქმის ყველა პროფესიაში და ამ ეთიკის კოდექსებმა უნდა დაარეგულიროს ეს საკითხები. ყოფილა შემთხვევა, ჟურნალისტი გამოდის და საშინელებებს წერს და ლაპარაკობს ამა თუ იმ პირზე და შემდეგ ირკვევა, რომ ეს იყო აბსოლუტურად შეკვეთილი ამბავი ვიღაცის მხრიდან. ამის სტანდარტიც უნდა დავამკვიდროთ.

## 2018 წელს 105 ექიმს საქმიანობის უფლება შეუჩერდა, ორ ექიმს კი საერთოდ გაუუქმდა

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2018 წლის მუშაობის ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა პროფესიული განვითარების საბჭოს 8 სხდომა.



საბჭომ განიხილა პაციენტთათვის გაწეულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული 162 საკითხი (სულ – 348 ექიმი). შედეგად, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, 342 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისრა.

მათ შორის, 235 ექიმს „წერილობითი გაფრთხილება“ მიეცა; 105 ექიმს სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით შეუჩერდა (1 თვით – 54 ექიმს, 2 თვით – 36 ექიმს, 3 თვით – 11 ექიმს, 4 თვით – 3 ექიმს, 5 თვით – 1 ექიმს); 2 ექიმს – გაუუქმდა სახელმწიფო სერტიფიკატი; ხოლო 6 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა არ დაეკისრა.

## „მადლობა კალაძეს, მძევლად რომ არ აგვიყვანა“

### გედევან ფოფხაძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა

შორენა მარსაგიშვილი

**ბიძინა ივანიშვილის ჩართულობის მიუხედავად, „ქართულ ოცნებაში“ სიტუაცია ვერ დალაგდა. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გედევან ფოფხაძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. მას კიდევ რამდენიმე დეპუტატი მიჰყვება.**

ფოფხაძე წამოსვლის მიზეზად უმრავლესობის დანარჩენ წევრებთან პოზიციების დაშორებას ასახელებს.

დეპუტატის თქმით, მას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ „ქართული ოცნების“ რიგები დატოვოს. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება თავად რომ არ მიიღოს, მას პარტიას მაინც დაატოვებინებენ.

– მე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ ჩემს მეგობრებთან ერთად. მგონია, რომ ჩვენ ღირებულებებით ძალიან დავშორდით ერთმანეთს. ეს რეალობაა და, ფაქტობრივად, ასეც ფიქსირდება უმრავლესობის სხდომებზე მათი მხრიდან, ვისაც გვაქვს ასეთი პრინციპულად განსხვავებული პოზიცია და შეურიგებლები ვართ იმ ტენდენციების მიმართ, რომლებიც ფიქსირდება სასამართლოებთან მიმართებით. ჯერ დანამდვილებით გადაწყვეტილებას ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი განწყობა იხრება იმისკენ, რომ ხალხთან ბოლომდე ვისაუბრო ყველაფერ იმაზე, რაზეც გუნდურობის პრინციპის დარღვევის გამო ვერ ვსაუბრობ.

მგონია, რომ თუ ჩვენ მორალური არჩევანის წინაშე ვდგებით, ეს არჩევანი გასაკეთებელია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პროცესი იყოს სწორი. უნდა ჩამოვყალიბდეთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ სად რჩება, ვის რა ღირებულებები გვაქვს და მივიღოთ ეს გადაწყვეტილებები.

მე შეიძლება წასვლის ნაბიჯი არ გადავდგა, მაგრამ მაინც გამრიცხავენ. აქ საუბარია, ვინ ვის დაასწრებს, – აღნიშნა ჟურნალისტებთან გედევან ფოფხაძემ.

მის ამ განცხადებას პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე გამოეხმაურა, რომელსაც ბოლო დროს იუმორის გრძნობა ძალიან ცუდად მოეძალა.

მისი თქმით, იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობა, შეუძლიათ, წავიდნენ.

– თუ ვინმეს უნდა უმრავლესობის დატოვება, კარი ღიაა და შეუძლია, დატოვოს, – განაცხადა იუმორისტმა მერმა.

კახა კალაძეს მალევე გამოეხმაურა გედევან ფოფხაძე და მადლობა გადაუხადა, რომ პარტიის გენმდივანმა ის მძევლად არ აიყვანა.

– მადლობა, რომ მძევლებად არ ვართ აყვანილი და, საჭიროების შემთხვევაში, გარეთ გასვლის საშუალებას გვაძლევენ. მინდა, ყველას შევახსენო, რომ ამ უმრავლესობაში ადამიანებს არა მხოლოდ მოვალეობები, არამედ უფლებებიც გვაქვს. პარტიაში თავის დროზე თუ გავწევრიანდით, ეს იყო გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილება. ჩვენი ბიოგრაფიითა და ბრძოლით შევედით ამ პარტიაში, – განაცხადა ტვ პირველის ეთერში ფოფხაძემ.

თბილისის მერს ქოქოლა ეკა ბესელიამაც მიაყარა. ბესელია ფიქრობს, რომ ის და მისი მხარდამჭერები თავად არიან სხვების მასპინძლები.

– ვგავართ ახლა ჩვენ იმ ადამიანებს, ზრდასრული ადამიანები ვართ, რომ ვინმემ თითი დაგვიქნიოს და დაგვტუქსოს? არა მგონია, რომ ასეთ შთაბეჭდილებას რომელიმე ჩვენგანი ტოვებდეს. ყველას მინდა ვუთხრა, რომ ამ მშობლის როლიდან გამოვიდეს. თქვენ მოისმინეთ კომენტარები, თავად გააკეთეთ შეფასება. ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც, მე მგონია, რომ ესეც მშობლის როლია. არ გვინდა ამ როლიდან ლაპარაკი, მეგობრებო, ერთმანეთს ველაპარაკოთ ზრდასრულის პოზიციიდან.



მე არ ვარ სტუმრად არსად მისული. უკაცრავად, მაგრამ მე დავხვდი იმ ხალხს, ვინც მოვიდა. სტუმარს შეიძლება უთხრა, თუ ვერ ხვდება, მიბრძანდიო, მაგრამ სტუმარი მასპინძელს რომ ეტყვის – მიბრძანდიო, მე მგონი, ცოტა ანომალიასთან გვაქვს საქმე. თუ მასპინძელი გადაწყვეტს, რომ წავიდეს, გადაწყვიტოს თვითონ. ასე რომ, არ ველაპარაკოთ ასეთ ტონალობაში ერთმანეთს, – ამბობს ბესელია.

# ვახტანგ მაისაია: „სასულიერო პირის გატაცება ნიშნავს, რომ რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ საომარ მოქმედებებზე გადავიდა“



## „საჭიროა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერებაც. ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

**რუსმა ოკუპანტებმა ცხინვალთან მდებარე სოფელ ნიქოზიდან სასულიერო პირი, მამა დავით დურგლიშვილი გაიტაცეს. ის ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის მოძღვარია, რომელიც ე.წ. მესაზღვრეებმა გამყოფი ხაზის პერიმეტრზე დააკავეს. მამა დავითი იმ დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებდა თანხმლებ პირებთან ერთად. თანმხლებმა პირებმა გაქცევა შეძლეს. სუს-ის ცნობით, მამა დავითი ცხინვალის იზოლატორშია გადაყვანილი. ფაქტის შესახებ ინფორმირებულია სადამკვირვებლო მისია. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ოკუპანტები სასულიერო პირს აკავებენ.**

რა ხდება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, როგორ უნდა იყვნენ დაცული საქართველოს მოქალაქეები და შექმნილ რთულ ვითარებაში რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაიას ესაუბრა:

***– როგორ შეაფასებთ საოკუპაციო ხაზთან შექმნილ ვითარებას? იმდენად გათავხედდნენ ოკუპანტები, რომ სასულიერო პირებსაც აღარ ინდობენ. რასთან გვაქვს საქმე?***

– ბუნებრივია, ეს არის ჰიბრიდული ომის კლასიკური მაგალითი. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომს აგრძელებს. სხვანაირად ამის შეფასება შეუძლებელია. ეს არის იგივე ჰიბრიდული ომის წარმოება საქართველოს წინააღმდეგ. ამავე დროს, რუსეთი ცდილობს, საქართველოზე ჰქონდეს ზეწოლის ერთგვარი ბერკეტები, მით უმეტეს – ახლანდელი ცივი ომის პირობებში, განსაკუთრებით, როცა იწყება გამალებული შეიარაღების რბოლა და ბირთვული რბოლა, ცდილობენ, საქართველოს ხელისუფლებასა და საქართველოზე ჰქონდეთ გავლენის ბერკეტები, როგორც საგარეო, ისე თავდაცვითი ურთიერთობები. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი აგრძელებს ჰიბრიდულ ომს და ეს არის მთელი პრობლემის არსი.

***– აქამდე იყო ხოლმე, რომ სასულიერო პირების ჩარევითა და დახმარებით ხდებოდა ვითარების განმუხტვა. იმავე აგვისტოს ომის დროს გვახსოვს სასულიერო პირების როლი პროცესში.***

– გეთანხმებით. შემთხვევით არ მიხმარია მე ტერმინი ჰიბრიდული ომი, რომელიც მოიცავს იმას, რომ, ფაქტობრივად, რუსეთი გადავიდა არა საბრძოლო, მაგრამ საომარი მოქმედებების ტიპზე. ჰიბრიდული ომი სწორედ ამას ითვალისწინებს, არა საბრძოლო, მაგრამ საომარი მოქმედებების წარმოებას მეორე ქვეყნის წინააღმდეგ. ეს არის ამ ტერმინის დეფინიციის არსი, რისი ადაპტირებაც მოახდინა რუსეთმა უკრაინაში ყირიმის ოკუპაცია-ანექსიისა და დონბასში არსებული მოვლენების ფონზე. როგორც ჩანს, უკრაინაში მიღებულ გამოცდილებას რუსული მხარე საქართველოს წინააღმდეგაც იყენებს. სასულიერო პირის გატაცება ნიშნავს, რომ ისინი ჩართულნი არიან ჰიბრიდული ომის ამ მასშტაბში. კონტექსტიდან გამომდინარე ვამბობ ამას. აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ სასულიერო პირები იყვნენ ერთგვარი მედიაციისა და ფასილიტაციის შემქმნელი აქტორები და, ბუნებრივია, მათ არავინ ეხებოდა. როდესაც უკვე სასულიერო პირს შეეხნენ, ეს უკვე არის ომის წარმოების ახალი ფორმა, რომელსაც ეწოდება ჰიბრიდული ომი.

***– თქვენ ამას პირდაპირ რუსეთს უკავშირებთ და არა ე.წ. სამხრეთ ოსეთს?***

– რა თქმა უნდა. ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ფაქტობრივად, უკვე აღარ არსებობს. იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გააფორმეს რუსეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა, ყველა ძალოვანი სტრუქტურა პირდაპირ დაქვემდებარებულია რუსეთის ფედერაციის შესაბამისი ძალოვანი უწყებების უმაღლეს სტრუქტურებთან, იქნება გენშტაბი თუ ფედერალური სამსახურების ხელმძღვანელობა. ფაქტობრივად, ცხინვალში მოქმედებს ფედერალური სამსახურის რეგიონული ფილიალი და არა სუკ-ი, როგორც მას ჰქონდა დასახელება. ამავე დროს, რუსული კანონები ვრცელდება. მოქალაქეობის საკითხებიც ვრცელდება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში. რაც მთავარია, ე.წ. პრეზიდენტი მხოლოდ ნომინალური ფიგურაა. რეალურად გუბერნატორის ფუნქციებს ასრულებს. რაც რუსეთის შიგნით, რომელიმე რეგიონში გააჩნია გუბერნატორს ფუნქციები, იგივე ფუნქციები გააჩნია ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს. ეს არის დე ფაქტოდ რუსეთის შიდა ნაწილი. სამწუხაროდ, ასეა.

***– შექმნილ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას რა შეუძლია გააკეთოს?***

– ძალიან კარგი კითხვაა. მესმის, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს, არ მოახდინოს პროვოცირება და არ გაიმეოროს ის, რაც მოხდა აგვისტოს ომის დროს და რუსული აგრესია კიდევ უფრო არ გააძლიეროს. მაგრამ რუსეთი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. არსებობს სხვადასხვა ზომა მის აღსაკვეთად, იმავე სამხედრო გზით. თუნდაც იმავე მავთულხლართების გაბმასთან დაკავშირებით, თუნდაც იგივე დროებითი დანაღმვა რომ მათ უკვე აღარ გააგრძელონ, პლუს შეიარაღებულმა ძალებმა „ჩეკ პოინტები“ დააყენონ, რათა არა პოლიციურმა ძალებმა მოახდინონ გათავხედებული რუსეთის სამხედროების შეჩერება, არამედ შეიარაღებულმა ძალებმა აიღონ თავის თავზე და რაღაცნაირად მოახდინონ იმ ტერიტორიების შენარჩუნება, რა ტერიტორიებზეც ახლა ხდება ეს გაუგონარი გეოსტრატეგიული თავხედობა.

***– ანუ ზედმეტად ინერტულები ვართ?***

– მე ასე მეჩვენება. შეიძლება ღონისძიების მიღება. მაშინ, რაში გვჭირდება თავდაცვის შეიარაღებული ძალები. ხომ უნდა გამოვიყენოთ იმაში, რომ ჩვენი სუვერენიტეტი დაცული იყოს? ამიტომ, მგონი, დროა, რომ ჩვენი ძალები ჩაერთონ და აჩვენონ ძალის დემონსტრირება. ეს არ ნიშნავს, რომ სამხედრო კონფრონტაციაში შევიდეთ რუსულ აგრესიულ მანქანასთან და მე მათ ომისკენ მოვუწოდებდე. ეს ასე არაა, მაგრამ ამ თავხედებს იმის უფლება მაინც არ უნდა მიეცეთ, რომ უკანონოდ მოხდეს ჩვენი მოქალაქეების უკანონო გატაცებები და ასეთი საშინელებები, რაც ჩვენს ტერიტორიებზე ხორციელდება.

***– რაც შეეხება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, ხომ არ ფიქრობთ, რომ გასაძლიერებელია მათი მოქმედება ამ პერიმეტრებზე?***

– ესეც სასურველია, რომ მოხდეს. დაისვას ეს საკითხიც, რომ მოხდეს მისი გაფართოება, მათი პოტენციალის გაზრდა და ჩვენ თავდაცვის ძალებთან ერთად რაღაცა სპეციალური ზომები მივიღოთ. ამ მიმართულებით რომ სამუშაო გვაქვს, ამაში აბსოლუტურად გეთანხმებით.

ევროკავშირის სამხედრო მისიის წარმომადგენლებს ამ შემთხვევაში მხოლოდ დაფიქსირების შესაძლებლობა აქვთ და მათ არ ძალუძთ რაიმე რეალური გავლენის მოხდენა. როგორც ჩანს, ეს ფორმატი და იმ შეთანხმების პუნქტებით, რომელსაც ხელი მოეწერა სარკოზი-სააკაშვილი-მედვედევის მიერ, ამის შესაძლებლობას არ აძლევს. საჭიროა ახალი სამართლებრივი ფორმატის შექმნა ევროკავშირის სამხედრო მისიის თვალსაზრისით, რომელიც ფორმატის გაძლიერებისა და განმტკიცებაზე იქნება ორიენტირებული. ალბათ, ამაზე უნდა ვიმუშაოთ ევროკავშირის მთავარ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩართულნი არიან სამხედრო მისიის საქმიანობაში. ასევე ევროკავშირის ხელმძღვანელობასთანაც უნდა ვიმუშაოთ. მის წინაშე დგას თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტები, იგივე სანკტ-პეტერბურგის ამოცანები ამის საშუალებას იძლევიან. ევროპა აპირებს, გააძლიეროს თავისი თავდაცვის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, დროა, ჩვენი თავდაცვის ძალებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ ჰიბრიდული ომების წინააღმდეგ და მოახდინონ ამ თავხედობების შეჩერება მაინც.

***– 2012 წელს „ოცნება“ აწარმოებდა პრაგმატულ პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობაში. ხომ არ გამოჩნდა, რომ ამ პრაგმატულმა პოლიტიკა შედეგი არ გამოიღო და რუსეთმა ის წითელი ხაზები გადაკვეთა, რაც არ შეიძლებოდა?***

– თქვენი კითხვის პათოსს ვიზიარებ, მაგრამ მეორეა ის გამოთქმა, ძალა აღმართს ხნავსო. ახლა რუსეთს მეტი გეოპოლიტიკური მოტივაცია გააჩნია. რუსეთი ჩაება ახალ ცივ ომში. მისთვის დასავლეთი მტერია და არა მოწინააღმდეგე ან მეტოქე, როგორც ადრე. ეს რეალობა საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიის დროს შეიცვალა. ადრე დასავლეთი (ამერიკა და ევროკავშირი) თანამშრომლობდნენ რუსეთთან და ისინი მტრებად არ ითვლებოდნენ. დღეს უკვე ახალი ცივი ომია. რუსეთი და ამერიკა უკვე მტრები არიან, ეს ფაქტია. ეს ჩანს გეოპოლიტიკური მომენტებიდან გამომდინარეც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთმა თავისი თავხედობის ზენიტსაც მიაღწია და, ბუნებრივია, პირდაპირ აგრესიულ ქმედებებზე გადავიდა ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ომის წარმოების თვალსაზრისითაც და ჰიბრიდული ომის მხრივაც, ანუ ჩვენ წინააღმდეგ მთელი პაკეტი წარმოადგინეს. გარკვეულწილად, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ის მაქსიმალური ძალისხმევა, რომ ამ თავხედობას გავცეთ საკადრისი პასუხი იმ დონეზე, რომ ჰიბრიდული ომის ელემენტები შევაჩეროთ. საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს რამდენად გავუმკლავდებით, ცალკე საუბრის თემაა. იმედია, გავუმკლავდებით და უნდა გავუმკლავდეთ კიდევაც. ამაში ეჭვი არ მეპარება. ჰიბრიდული ომის გამკლავებასაც წინ არაფერი უდგას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან პოლიტიკური ნება მაინც უნდა იყოს გამოვლენილი, რომ ჩვენც შეგვიძლია, მივიღოთ ზომები ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიების დასაცავად, იმ ტერიტორიების, რომლებიც ჯერ კიდევ შეგვრჩა.

# ოკუპირებულ აფხაზეთში პასპორტებს ძალით არიგებენ

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ წერდა, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის საპასპორტო პოლიტიკის გამო ახალი აფხაზური პასპორტების აღება გადაულახავი პრობლემა გახდა არა მარტო შევიწროებული ქართველებისთვის, არამედ, სხვა არააფხაზებისთვისაც.**

ამ საკითხში ხაჯიმბას ადმინისტრაციამ ისე გადაამეტა, რომ თვითონ გაიჭედა.

10 ათასზე მეტი დოკუმენტი დასარიგებელია. მოსახლეობის ამ კატეგორიას ახალი პასპორტის აღების სურვილი არ გამოუთქვამს. 9 ათასზე მეტი პასპორტი კი გამზადებულია გასაცემად. ამ კონტინგენტმა ჩააბარა შესაბამისი საბუთები, გააკეთა განაცხადი,




მაგრამ პასპორტის ასაღებად არ ცხადდება. შესაძლოა, ამ ხალხს ფული არ აქვს. აფხაზეთში პასპორტი და ბინადრობის მოწმობა ფასიანია.

ხაჯიმბას დეფაქტო ხელისუფლება, რომელსაც ზაფხულში „საპრეზიდენტო“ არჩევნები აქვს ჩასატარებელი, ხმის მიცემას კი მოქალაქეობა და ახალი პასპორტი სჭირდება, გამოსავალს ეძებს.

ამ მიზნით სოხუმში ზედიზედ ეწყობა თათბირები.

ბოლო თათბირზე დეფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ დაავალა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სამმართველოს, საქმეში ადგილობრივი ადმინისტრაციები ჩართონ. მათ უნდა წარმოადგინონ იმ მოქალაქეების სიები, რომლებსაც პასპორტის აღების სურვილი არ გამოუთქვამთ, ასევე იმ ადამიანების სიები, რომელთა პასპორტები გამზადებულია წასაღებად.

შს მინისტრი გარი არშბა მზადაა, თავისი თანამშრომლები ხალხთან მიავლინოს. მისი განმარტებით, აუცილებლობის შემთხვევაში საპასპორტო სამსახური ადამიანებს თვითონ მიაკითხავს.

ყველაზე გაუსაძლის მდგომარეობაში გალისა და ტყვარჩელის ქართველები არიან. 2016 წელს ქართველი მოსახლეობისათვის წინა ხელისუფლების დროს დარიგებული პასპორტები უკანონოდ გამოცხადდა. ხაჯიმბამ მაშინ გამოაცხადა, რომ ქართველებს ბინადრობის მოწმობებს დაურიგებენ.

მოსახლეობამ ეს გააპროტესტა, მაგრამ ბევრი ადამიანი იძულებულია, ბინადრობის მოწმობას დათანხმდეს. საქმე ისაა, რომ ქართველებს ესეც არა აქვთ გარანტირებული. მოწმობის ასაღებად აუცილებელი პირობაა აფხაზეთში ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრება. ვინც მომავალში აფხაზეთის მოქალაქეობას მიიღებს, რასაც აფხაზური ენისა და „კონსტიტუციის“ ცოდნა და ჩაბარება სჭირდება, შეიძლება პასპორტსაც ეღირსოს.

გალელები გასაგები მიზეზების გამო წინა წლებში ენგურსგამოღმა ხანგრძლივი დროით გადმოდიოდნენ. დღეს მათ ამ საბაბით ბინადრობის მოწმობებიც სანატრელად გაუხადეს.

ცოტა ხნის წინ ხანგრძლივი კარანტინის შემოღებით აღშფოთებულმა გალელებმა პასპორტების თემაც გააპროტესტეს.

ჯერჯერობით, ეს საკითხი ისევ ჰაერშია გამოკიდებული. იმავდროულად აფხაზეთში სულ უფრო მეტი აფხაზი აცხადებს, რომ ქართველების სამართლებრივი სტატუსი გადასაწყვეტია.

გადადგამს თუ არა ხაჯიმბა „საპრეზიდენტო“ არჩევნების წინ ნაბიჯებს ამ მიმართულებით, გაურკვეველია. ცნობილია მისი ორაზროვანი გამონათქვამები სამურზაყანოელებისთვის ისტორიული სტატუსისა და ფესვების დაბრუნებაზე. სავარაუდოდ, ამაში იგულისხმება ქართველების აფხაზებად ჩაწერა, თუ ასეთი ნორმა იმოქმედებს, ან სრული ასიმილაცია სამოქალაქო საზოგადოების პირობებში.

აფხაზეთის მოქალაქეობას და პასპორტებს დაუბრკოლებლად ურიგებენ რეპატრიანტებს. რუსეთის იმპერიის მიერ მეზობელ ქვეყნებში გადასახლებული მუჰაჯირები ნაწილ-ნაწილ ბრუნდებიან აფხაზეთში.

4 თებერვალს აფხაზეთის ფაქტობრივი პრემიერ-მინისტრი ვალერი ბგანბა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შეხვდა. მათ შორის იყვნენ სტამბულის აფხაზების უხუცესთა საბჭოს, თურქეთში აფხაზური კულტურის ცენტრების ფედერაციის, აფხაზი სტუდენტობის წარმომადგენლები.

ბგანბას ინფორმაციით, აფხაზეთში თურქეთიდან უკვე დაბრუნდა 4.000-ზე მეტი თანამემამულე.

მიმდინარეობს მათი სოციალურ-კულტურული ადაპტაცია.

# საპენსიო ფონდში 36 მილიონი ლარია მობილიზებული



ბოლო მონაცემებით, საპენსიო დანაზოგის სახით 36 მილიონი ლარია მობილიზებული. საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, თანხის მოცულობა დეკლარაციების დახურვის შემდეგ გაიზრდება. სააგენტოს პროგნოზით, საპენსიო დანაზოგი თვეში 40-45 მილიონი ლარი იქნება.

საპენსიო სააგენტოში 31 ათასზე მეტი კერძო კომპანიაა რეგისტრირებული. გარდა ამისა, სისტემაში სახელმწიფო უწყებების 270.000 თანამშრომელია რეგისტრირებული.

საპენსიო სააგენტოს დირექტორის ლევან სურგულაძის ინფორმაციით, სავარაუდოდ, ჯამში დაახლოებით 600.000 ანგარიში უნდა შეიქმნას. მისივე თქმით, წინასწარი გათვლებით, ორ წელიწადში საპენსიო დანაზოგების სახით 1.5 მლრდ ლარის მობილიზება უნდა მოხდეს.

– რაც შეეხება თანხას, ბოლო ინფორმაციით, სააგენტოში დაახლოებით 20 მილიონი ლარია მობილიზებული, მაგრამ ჯერ კომპანიებს დეკლარაციები არ დაუხურავთ. რთულია წინასწარ თანხაზე საუბარი, მაგრამ ჩვენი პროგნოზით, დაახლოებით 35-40 მილიონი უნდა შემოვიდეს თვეში. პირველი თვის შედეგების შემდეგ პროგნოზებიც უფრო ზუსტი იქნება. საწყისი გათვლა იყო, რომ ორ წელიწადში საპენსიო დანაზოგების სახით მილიარდ ნახევარი ლარი უნდა გვქონდეს, – აღნიშნა ლევან სურგულაძემ.

1 იანვრიდან 2%-იანი საპენსიო შენატანის გადახდა ყველა დასაქმებულს, მის დამსაქმებელსა და სახელმწიფოს დაევალა. დასაქმებული, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტომდე 40 წელი შეუსრულდა, 1 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით საპენსიო სქემიდან გასვლას შეძლებს. ამ შემთხვევაში მას, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს განხორციელებული საპენსიო შენატანები სრულად დაუბრუნდებათ.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს მოქალაქე ედუარდ მარიკაშვილმა და „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“. მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ კანონი არაკონსტიტუციურია და არღვევს როგორც დასაქმებულის, ისე დამსაქმებლის საკუთრების უფლებას.

**კომერსანტი**

# კახა კალაძე: „სამშენებლო რეგულაციების გამკაცრება ძალიან მნიშვნელოვანია“




თბილისის მერი 2019 წელს სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებას არ გამორიცხავს. კონკრეტულად რა მიმართულებით მოხდება რეგულაციების გამკაცრება, ამას კახა კალაძე „კომერსანტთან“ საუბარში არ აკონკრეტებს. თუმცა მიიჩნევს, რომ მოქალაქეების უსაფრთხოების თვალსაზრისით მკაცრი რეგულაციები მნიშვნელოვანია.

– სამშენებლო რეგულაციების გამკაცრება ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის რაც წლების განმავლობაში დედაქალაქში ხდებოდა, არავის არ მოსწონდა. მათ შორის არც მე მომწონდა ის შედეგი, რაც ქაოტური მშენებლობებით ბოლო პერიოდში მივიღეთ. ასევე მნიშვნელოვანია სამშენებლო რეგულაციების გამკაცრება უსაფრთხოების თვალსაზრისით.

სულ მალე ამოქმედდება გენერალური გეგმა, რომელიც ქალაქის გრძელვადიან განვითარებას განსაზღვრავს. ეს ყველაფერი, ერთობლიობაში იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ქალაქის ქაოტური განაშენიანება ავიცილოთ თავიდან, – განაცხადა კახა კალაძემ.

# ირაკლი კოვზანაძე: „საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტების 46% განიხილა“



2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ახალი საბანკო რეგულაციები – ირაკლი კოვზანაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საქმიანობა შეაჯამა.

– გასულ წელს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტების 46% განიხილა, – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე, სადაც კომიტეტის მიერ 2018 წელს შესრულებული საქმიანობა შეაჯამა.

განხილულ კანონპროექტებს შორის ირაკლი კოვზანაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომლის ხარჯვითი ნაწილი უპრეცედენტოდ მაღალ მაჩვენებელს, 13 მლრდ ლარს აჭარბებს. ამასთანავე, საბიუჯეტო დეფიციტი მხოლოდ 2.6%-ის, ინფლაცია კი – 3%-ის ფარგლებშია გათვალისწინებული.

– მთლიანობაში, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია, სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნებს და ემსახურება ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ფინანსური მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შექმნას, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

ამავე დროს, ირაკლი კოვზანაძემ ისაუბრა გასულ წელს მიღებულ და ამოქმედებულ საკანონმდებლო რეგულაციებზე, რომლებიც უზრუნველყოფს საბანკო და არასაბანკო აქტივების გამიჯვნას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებზე ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციების სრულად განხორციელებას, ჭარბვალიანობის შემცირებასა და ე.წ. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მექანიზმების ამუშავებას.

ირაკლი კოვზანაძემ გამოსვლაში აღნიშნა, რომ კომიტეტის კომპეტენციაშია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშების განხილვა. გარდა ამისა, გერმანული მოდელის შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფი იხილავს აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებს.

– 2018 წელი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ძალიან შრომატევადი და, რაც მთავარია, საკმაოდ პროდუქტიული იყო. ვფიქრობ, მიმდინარე წელიც ძალიან დატვირთული იქნება. ჩემდამი რწმუნებული კომიტეტის 2019 წლის პრიორიტეტები ჩვენ დეტალურად გვაქვს გადმოცემული კომიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ თავის გამოსვლაში.

**კომერსანტი**

# „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე მარიამ ქვრივიშვილი დაინიშნა



„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე მარიამ ქვრივიშვილი დაინიშნა. იგი „ვოიაჟერის“ დირექტორი იყო.

„ვოიაჟერი“ საქართველოში ხუთი ავიაკომპანიის გენერალური დისტრიბუტორია; წინა მთავრობის პერიოდში კი ქვრივიშვილი ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე იყო.

ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ადმინისტრაციის წინა ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში გადაინაცვლა.

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე ჰრ.გოვ.გე-ზე განცხადების მიღება 2018 წლის 28 დეკემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 6 იანვარს დასრულდა. კონკურსზე სულ 27 განაცხადი შევიდა.

# სეს: „ეტიკეტირების ახალ რეგლამენტში ცვლილება არ შესულა“

სეს
სურსათის ეროვნული სააგენტო
www.nfa.gov.ge

პროდუქციის ეტიკეტირების ახალი წესი ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ბიზნესის მოთხოვნით ის 6 თვით გადავადდა.

კერძო სექტორი ამბობს, რომ ამ პერიოდში ცვლილება შევიდა რეგლამენტში, კონკრეტულად სავალდებულო გახდა პროდუქციის ეტიკეტზე დამზადების თარიღის მითითება, რასაც დადგენილების პირვანდელი ვერსია არ ითვალისწინებდა. შედეგად ბიზნესს უკვე დამზადებული ეტიკეტის მორიგი ცვლილება მოუწევს.

ბიზნესის განცხადებებს სურსათის ეროვნულ სააგენტოში უპასუხეს და განმარტეს, რომ რეგლამენტში შესული ცვლილებები, რაც ბიზნესისთვის ახალი მოთხოვნების დაწესებას და ეტიკეტების ცვლილებას გამოიწვევდა, არ შესულა.

– 31 ოქტომბერს შესული ცვლილებით არაფერი სიახლე და ზედმეტი ბიზნესისთვის არ დამატებულა. ახლა მოქმედი, რაც არის ეტიკეტირების 441-ე დადგენილება, ბიზნესი ისედაც ვალდებული იყო დამზადების თარიღის ველი მიეთითებინა სურსათზე.

ოქტომბერში შესული ცვლილებით მათ დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი უნდა მიუთითონ, რომელიც ისედაც ეთითება აქ წარმოებულ სურსათსაც და იმპორტირებულ სურსათსაც.

დანარჩენი სახის ცვლილებები არის ტექნიკური, რომლითაც უფრო მეტად დაზუსტდა რიგი პუნქტები 301-ე დადგენილებაში. ამ გადაადგილებით ახალი ეტიკეტის დამზადება არ მოუწევდა ბიზნესს იმიტომ, რომ დღესაც რომ გავიდეთ, ბაზარზე განთავსებულ სურსათზე ყველაზე უნდა იყოს დამზადების თარიღი მითითებული, – განმარტავს მარიამ გორდაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი.

**ბმ.გე**

# ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პიკის საათებში მეტროში მოცდის დრო 2.5 წუთამდე შემცირდეს

თბილისის მერმა კახა კალაძემ ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში განახლებული ვაგონები დაათვალიერა და ახალი მატარებლით იმგზავრა.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, უახლოეს პერიოდში, მეტროს ახალი შემადგენლობები კიდევ დაემატება.

– სატრანსპორტო პოლიტიკის მოწესრიგება ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. არაერთხელ გვითქვამს, რომ გვინდა, 2018 წლის ბოლოსთვის ავტობუსების პარკი მთლიანად ჩავანაცვლოთ და ახალი, ევროპული, ევრო 6-ის ტიპის ავტობუსები შემოვიყვანოთ. ასევე, ვმუშაობთ მეტროს ვაგონების რეაბილიტაციისა და სადგურების მოწესრიგების მიმართულებით.




მეტროს ერთი ახალი შემადგენლობა დაემატა. შემადგენლობების დამატების მიზანი მოცდის პერიოდის შემცირებაა, განსაკუთრებით, პიკის საათებში. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მეტროს მგზავრთა რაოდენობა 25%-ით გაიზარდა და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თუ, მაგალითად, პიკის საათებში მოცდის დრო 4 წუთი იყო, დღეს 3 წუთია და გვინდა, ეს მაჩვენებელი 2.5 წუთამდე დავიყვანოთ. მეტროთი და ავტობუსებით მგზავრობა ქალაქში უნდა იყოს ყველაზე კომფორტული და სწრაფი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვდგამთ. ორიოდე კვირაში ორივე ხაზს კიდევ თითო ახალი შემადგენლობა დაემატება და ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მეტროს პირველ ხაზზე დამატებით ერთი - ოთხვაგონიანი, ხოლო საბურთალოს ხაზზე - სამვაგონიანი განახლებული მოძრავი შემადგენლობა იმოძრავებს.

ვაგონების მოდერნიზაციის ფარგლებში შეიცვალა მემანქანის კაბინის ფორმა, გაიზარდა მისი მოცულობა და მასში დამონტაჟდა თანამედროვე კონდიცირების სისტემა; კაბინები, ასევე, აღიჭურვა მართვის თანამედროვე პულტით; შეიცვალა ვაგონების გარე და შიდა დიზაინი და ფერები; სალონში ძველი სანათები შეიცვალა დიოდური სანათებით; დამონტაჟდა შიდა, დაკვირვებისა და ბაქანის საკონტროლო გარე კამერები; მგზავრების კომფორტისთვის ვაგონებში განთავსდა სპეციალური მონიტორები და მობილური მოწყობილობების დასატენი USB შესაერთებლები; მოძველებული მექანიკური დეტალები სრულად შეიცვალა თანამედროვე სტანდარტების მიკროპროცესორული სქემებით აღჭურვილი კვანძებით; განახლდა მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ავტომატური სისტემები, რაც ითვალისწინებს მოძრავ შემადგენლობებს შორის უსაფრთხო ინტერვალის პრინციპს.

მეტროს მოძრავი შემადგენლობის განახლებისა და მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, თბილისის მერიის მხარდაჭერით, 2019 წელს, დამატებით, 27 ვაგონის განახლებას გეგმავს.

ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში განახლებული ვაგონები მერთან ერთად გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატებმა - კობა კობალაძემ და შალვა ოგბაიძემ დაათვალიერეს.

# ლიბერთი პენსიონერებისთვის უფასო საგანმანათლებლო პროექტს აგრძელებს



ლიბერთის ინიციატივით გრძელდება საგანმანათლებლო სოციალური პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში 60 წელს გადაცილებული ადამიანები კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობის შემსწავლელ კურსს უფასოდ გაივლიან.

დღეისათვის დარეგისტრირებულ პენსიონერთა რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა. სწავლება ყოველდღიურად, ორ ლოკაციაზე განხორციელდება. კურსის გავლის მსურველებს, ტრადიციულად, უმასპინძლებს ლიბერთის მიერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში სპეციალურად შექმნილი დარბაზი – Liberty Digital Hall და ლიბერთი ბანკის ტრეინინგ ცენტრი.

„ჩვენ ვაგრძელებთ სპეციალურად 60 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის შექმნილ კომპიუტერული სწავლების პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს უფროს თაობას მარტივად ინტეგრირდნენ თანამედროვე ცხოვრებაში. საგანმანათლებლო ერთგვარი ექსპერიმენტის სახით დაწყებული პროექტის მიმართ მზარდმა ინტერესმა განაპირობა პროექტის გაგრძელების გადაწყვეტილება. კურსის გავლას ყველა დარეგისტრირებული პენსიონერი შეძლებს. მომავალში ვეცდებით პროექტი თბილისის გარეთ, რეგიონებშიც გავიტანოთ“, – განაცხადა ლიბერთის გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან თხელიძემ.

# თბილისი-ზუგდიდის მიკროავტობუსი სენაკთან ხეს შეეჯახა

## 17 ადამიანი დაშავდა

სენაკის მუნიციპალიტეტში რამდენიმე დღის წინ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. თბილისი-ზუგდიდის სამგზავრო მიკროავტობუსი ხეს შეეჯახა.




შემთხვევის შედეგად დაშავდა 17 ადამიანი, რომელთა უმეტესობას მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებოდა, თუმცა 3 პირი ამ დრომდე ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოშია მოთავსებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის 1 ნაწილით დაიწყო, რაც მოძრაობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს რამაც ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

# პოლიციამ ხონში ქურდობის ბრალდებით 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ა.ა. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.




როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროდან აცნობეს, დანაშაული 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 3 თებერვალს ხონში მოქალაქის კუთვნილი მაღაზიიდან 1200 ლარი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ა.ა. მომხდარიდან მალევე დააკავა. სამართალდამცველებმა ნაქურდალი თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ქურდობის ფაქტზე, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

# ავტოავარიების შედეგად 2018 წელს 329 ადამიანი დაიღუპა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წელს ჩადენილი 3071 სატრანსპორტო დანაშაულიდან 329 დაზარალებულის გარდაცვალებით დასრულდა.

სტატისტიკის თანახმად, 2017 წელს სულ 2.626 სატრანსპორტო დანაშაული დაფიქსირდა და მათგან 322 დაზარალებულის სიკვდილით დასრულდა.

ამასთან, სტატისტიკური მონაცემებით, 2018 წელს ყალბი დოკუმენტების დამზადების 1.780 რეგისტრირებული შემთხვევა დაფიქსირდა და მათგან გაიხსნა 686, ხოლო 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1.438-ს შეადგენდა, ხოლო გახსნის მაჩვენებელი 863-ს.

რაც შეეხება თაღლითობას, 2018 წელს აღნიშნული დანაშაულის 2.032 რეგისტრირებული შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2017 წელს – 1.565.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წელს გამოძალვის 121 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2017 წელს – 93.

2018 წელს ცივი იარაღის ტარების 378 რეგისტრირებული შემთხვევა გამოვლინდა, ხოლო 2017 წელს – 325.

# გორში მამა 14 წლის შვილის გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს

გორში პოლიციამ 14 წლის შვილის მიმართ სექსუალური ქმედების ბრალდებით მამა დააკავა.

არასრულწლოვანი გოგონა სოციალური სააგენტოს თანამშრომლების მიერ უკვე გადაყვანილია სოციალური მომსახურების სააგენტოს საოჯახო ტიპის სახლში.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილი გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით, 1980 წელს დაბადებული ო.მ. გორის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2017 წელს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, 14 წლის შვილის მიმართ სხვადასხვა დროს სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება განახორციელა, რომელსაც დაკავებული ო.მ.-ც აღიარებს.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება დაკავებულის მიერ აღნიშნული ქმედების ჩადენა.

ამ დროისთვის, არასრულწლოვანი გოგონა სოციალური სააგენტოს თანამშრომლების მიერ უკვე გადაყვანილია სოციალური მომსახურების სააგენტოს საოჯახო ტიპის სახლში.

გამოძიება წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილი გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 11-პრიმა 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 11-პრიმა 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.




საკუთარი შვილის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ გორელ მამაკაცს 10-დან 13 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

❖ ❖ ❖

განსხვავებული ვერსია აქვთ ბრალდებულის ოჯახის წევრებს.

მათი გოგონა ცოტა ხნის წინ სახლიდან მეგობარ ბიჭთან ერთად გაიპარა ოჯახის შექმნის მიზნით, თუმცა მისმა მამამ პოლიციას მიმართა და სახლში დააბრუნა.

– შეყვარებულმა დააწერინა, ეტყობა, ზეწოლა მოახდინა იმ ბიჭმა. იმ ბიჭმა დააწერინა ეს ყველაფერი. მეტი სხვა არაფერი... გეუბნებით, ზედმეტი არაფერი მომხდარა. მკაცრი მამა იყო, ყველაფერს აკონტროლებდა, კარგი, წესიერი მამა იყო, – ამბობს მეზობელი.

# თამარაშვილზე მამაკაცი დაჭრეს

## ორმხრივი სროლა თბილისის ცენტრში




გუშინ, 5 თებერვალს, თამარაშვილის ქუჩაზე, ყოფილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს.

თვითმხილველების განცხადებით, მამაკაცი სროლის შედეგად დაიჭრა და ის იქვე მყოფმა ახალგაზრდებმა ავტომობილით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გასროლას სიტყვიერი დაპირისპირება უძღოდა წინ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ავტომობილი, რომლიდანაც ცეცხლი გახსნეს, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მომხდარზე ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაცია. მათ შორის ერთ-ერთი ვერსიით, მანქანაში მყოფებს მამაკაცმა, რომლის მისამართითაც ისროდნენ, საპასუხო ცეცხლი გაუხსნა.

ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული. მათ უკვე ამოიღეს ერთ-ერთ ბენზინგასამართი სადგურის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები.

# მერაბ კვირიკაშვილს ავარიის აცილება არ შეეძლო

## რას ამბობენ ექსპერტები



4 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა.

სხდომაზე სასამართლომ კვლავ ბრალდების მხარის მოწმეები დაკითხა.

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტმა ემზარ გავაშელაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის აცილება მერაბ კვირიკაშვილს არ შეეძლო.

შსს-ს საექსპერტო ბიუროს ექსპერტმა ირაკლი სარდაძემ ასევე განაცხადა, რომ კვირიკაშვილს შეჯახების თავიდან აცილება კონკრეტულ შემთხვევაში არ შეეძლო.

ავტოსაგზაო შემთხვევა 2016 წლის 21 ივლისს ქუთაისის შემოვლით გზაზე მოხდა. შემთხვევის შედეგად მერაბ კვირიკაშვილის მეუღლე, 26 წლის გიორგი პაპასკირი, მისი მეუღლე და მათი მეგობარი დაიღუპნენ.

მომავალი სასამართლო პროცესი 22 თებერვალს 16:00 საათზე ჩაინიშნა.

# ყარაჯალაში მოკლული 19 წლის ბიჭის ნათესავები მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახის სოფლიდან გასახლებას ითხოვენ




თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში რამდენიმე დღის წინ მოკლული 19 წლის ახალგაზრდის ოჯახი და ახლობლები აქციას მართავენ. ისინი მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახისა და ნათესავების სოფლიდან გასახლებას ითხოვენ. ადგილზე მობილიზებულია პოლიცია.

მოკლული რადიმ ყურბანოვის მამის თქმით, მისი შვილის მკვლელობა 10 წლის წინ მომხდარ უბედურ შემთხვევას უკავშირდება.

– ჩვენ აქ შევიკრიბეთ და ვითხოვთ, რომ ოჯახი და მთელი მათი საგვარეულო გადასახლდეს ამ სოფლიდან. 10 წლის წინ, როდესაც ჩემი ბიჭი 9 წლის იყო, ცხვარში სამწყემსად იყო მამაჩემთან ერთად, იქ გვქონდა თოფი.

ამ მკვლელის ძმამ აიღო და შემთხვევით გაისროლა, რის შემდეგაც ადგილზე გარდაიცვალა. ექსპერტიზამ და პოლიციამ არ გაგვამტყუნა, მაგრამ მამაჩემი მაინც იჯდა ციხეში. ახლა ამათ შვილი მომიკლეს, არ გაჩერდებიან და არც ჩვენ გავჩერდებით. პოლიციას რომ ჩაჰბარდა, ეს საკმარისი არ არის. გადავწვავთ მათ სახლებს, – განაცხადა მოკლული ახალგაზრდის მამამ რადიმ ყურბანოვმა.

– 10 წლის წინ გარდაცვლილი და ბრალდებული ერთად იყვნენ ცხვარში. დაკავებული ვინც არის, იმან აიღო სანადირო თოფი და ჩემს ბიჭს უთხრა, ყვავი უნდა მოგიკლაო. რადიმმა უთხრა, ჩემები მეჩხუბებიან და ეს თოფი არ აიღოო. ამ დროს თოფი გავარდა და დაკავებულის ძმა უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

ოჯახმა ჩემს შვილზე შური იძია. უდანაშაულო იყო რადიმი. ამას არ შევარჩენთ, გადავწვათ მათ სახლს ან სოფლიდან წავიდნენ, – ამბობს გარდაცვლილის და რადმილა ყურბანოვი.

მკვლელობა პარასკევს მოხდა. გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. პოლიციამ დამნაშავე მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.




# ვაკეში „ბატას“ მაღაზია გაქურდეს

ვაკეში „ბატას“ მაღაზია გაქურდეს.

მაღაზიაში არასრულწლოვნები შეიჭრნენ. მათ 100 ლარამდე თანხა და ლეპტოპი გაიტაცეს.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით არის დაწყებული.



# ანგელა მერკელი სინძიო აბეს შეხვდა

იაპონიაში გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ჩავიდა. ის იაპონიის პრემიერმა სინძიო აბემ მიიღო.

მოლაპარაკებების უმთავრესი თემა გერმანია-იაპონიის ურთიერთობები იყო.

– ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა ახალ ეტაპზე უნდა ავიდეს, – განაცხადა აბემ.

საუბარი ვენესუელაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. მერკელმა განაცხადა, რომ გერმანია ვენესუელის დროებით პრეზიდენტად გუაიდოს აღიარებს. აბემ თავის მხრივ შენიშნა:

– კრიზისი ვენესუელაში არა ძალადობრივი, არამედ დემოკრატიული გზით უნდა გადაწყდეს.

# იგორ სმეშკო: „ჩვენ არ გვჭირდება მშვიდობა ნებისმიერ ფასად“



უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა, გენერალმა იგორ სმეშკომ განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობა უნდა აღდგეს, მაგრამ ეს პუტინისეული სქემით არ მოხდება.

– ჩვენ არ გვჭირდება მშვიდობა ნებისმიერ ფასად, – თქვა სმეშკომ.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობა დონბასში მხოლოდ მას შემდეგ აღდგება, როცა რუსული არმია იქაურობას დატოვებს. ადგილობრივი არჩევნების ჩატარებაც მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშვიდობის უმთავრესი გარანტი მტერზე გამარჯვებაა, – მიიჩნევს გენერალი.

სმეშკომ აღნიშნა, რომ რუსებზე გამარჯვებისთვის სათანადო მომზადებაა აუცილებელი. უკრაინა უფრო ძლიერი უნდა გახდეს, ვიდრე დღესაა. საამისოდ კი აუცილებელია კორუფციის განეიტრალება, ეკონომიკის გაჯანსაღება.

– ამის გარეშე ქვეყნის მოდერნიზება შეუძლებელია. მტერზეც ვერ გავიმარჯვებთ, – ამბობს სმეშკო.



# სტამბოლის პოლიციამ ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის ბრალდებით 22 პირი დააკავა

სტამბოლის პოლიციამ ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის ბრალდებით 22 პირი დააკავა.

ამის შესახებ ინფორმაციას ქალაქ სტამბოლის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„სტამბოლის პოლიციამ ოპერაცია ჩაატარა იმ პირებთან მიმართებაში, ვისაც ბრალად ედება ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდა, „ბოევიკების“ გადაბირება და მათი ოჯახებისთვის დახმარების გაწევა“ – ნათქვამია განცხადებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის დროს თურქმა სამართალდამცველებმა ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული დიდი რაოდენობით დოკუმენტები ამოიღეს.

# ხანძარი პარიზში

## 7 ადამიანი დაიღუპა, 28 დაშავდა

პარიზში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა და 28 დაშავდა. ერთ-ერთი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა.

ხანძარი ერლანჟის ქუჩაზე მდებარე რვასართულიან საცხოვრებელ სახლში ღამის პირველ საათზე გაჩნდა.

ადგილზე ხანძრის ჩაქრობაში 200-მდე მეხანძრე იყო ჩართული. ასევე განხორციელდა მიმდებარე სახლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია.



# სუვოროველთა სასწავლებელში ეპიდემიამ იფეთქა



ულიანოვსკის სუვოროველთა სასწავლებელში ექინოკოკის ეპიდემია გავრცელდა. ამის თაობაზე ულიანოვსკის სამხედრო პროკურატურა იუწყება.

ანალიზების შედეგად, ექინოკოკი 25 კურსანტს აღმოაჩნდა.

სამხედრო პროკურატურამ მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

მიმდინარეობს გამოძიება.

# რუსეთიდან ხალხი გარბის

ლევადა-ცენტრის მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობის 17% ქვეყნიდან ემიგრაციაზე ოცნებობს. აქედან 61%-ს 17-18 წლის ახალგაზრდები შეადგენენ.

რუსეთიდან მოსახლეობის გადინება გრძელდება. რუსეთის ფედერაციის მოსახლეობიდან ყოველ მეხუთეს ჰყავს ნათესავები საზღვარგარეთ. ისინი იქ სამუდამოდ გადაბარგდნენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბავშვმა მაშხალებით კანალიზაცია ააფეთქა

ჩინეთში ბავშვი შეეცადა მაშხალები გაეშვა და შემთხვევით კანალიზაცია ააფეთქა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო, რომელიც ქუჩის სათვალთვალო კამერამ გადაიღო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ შიდა მონღოლეთის ავტონომიური რაიონის ჩიფენის ოლქში მოხდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ დებს ანთებულ მაშხალას ბავშვი კანალიზაციის ჭის თავსახურზე, რის შემდეგაც ძლიერი აფეთქება ხდება.

შედეგად კანალიზაციის ჭას თავი აეხადა, იქიდან კი ბოლი ამოვიდა. ამის შედეგად აიყარა და ირგვლივ მიმოიფანტა ტროტუარის საფარი. შეშინებული ბავშვი გაიქცა.

პოლიციის ვერსიით, აფეთქების მიზეზი მაშხალის ცეცხლის და კანალიზაციის ჭაში დაგროვილი მეთანის შეხება გახდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ფაჩულიას მოხსნები, ბითაძის ქულები



ზაზა ფაჩულიას დეტროიტმა მორიგი მატჩი მოიგო და ფლეი ოფისკენ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ჯერ იქამდე კიდევ შორია.

გარდა იმისა, რომ პისტონსის ქართველმა ცენტრმა საკმაოდ კარგი მატჩი ჩაატარა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დეტროიტმა დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი დენვერ ნაგეთსი დაამარცხა – 129:103. ამ გამარჯვებით ფაჩულიას გუნდმა დენვერელთა 6-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

ბოლო დროს 34 წლის ქართველ ცენტრს საკმაოდ ბევრი სათამაშო დრო ეძლევა. ამჯერად ფაჩულიამ 19 წუთი ითამაშა და ამ დროში 4 ქულა, 8 მოხსნა და 2 პასი დაუგროვდა. ზაზამ სამიდან ერთი 2-ქულიანი ჩააგდო და ოთხიდან ორი საჯარიმო ზუსტად ესროლა. 8 მოხსნიდან 5 დაცვაში ჰქონდა, 3 – შეტევაში. გარდა ამისა, ზაზას აქტივში 2 დაფარებაცაა.

მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე დეტროიტის ძირითადი ცენტრი ანდრე დრამონდი გახდა, რომელმაც 27 ქულითა და 12 მოხსნით მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა.

პისტონსი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-9 ადგილზეა. ზაზას გუნდი მომდევნო მატჩს სტუმრად, ნიუ იორკ ნიქსთან გამართავს.

გოგა ბითაძემ ბუდუჩნოსტის სასტარტო ხუთეულში პირველად ითამაშა. ეს მოხდა ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში, რომელშიც ერთმანეთს ჩერნოგორიული გუნდები შეხვდნენ. ბუდუჩნოსტმა ბარის მორნარს პოდგორიცეში უმასპინძლა და 102:71 გაანადგურა, 19 წლის ქართველი ცენტრი კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

სასტარტო ხუთეულში მყოფმა ბითაძემ მოედანზე 23 წუთი გაატარა და 14 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ 4-ვე ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა.

18 მატჩიდან 13 მოგებით ბუდუჩნოსტი 12-გუნდიან ადრიატიკის ლიგაში მე-2 ადგილზე იმყოფება. პოდგორიცელები მომდევნო მატჩს ბელგრადში, პარტიზანთან გამართავენ, თუმცა, მანამდე ევროლიგაში რუსულ ხიმკის უმასპინძლებენ.

# უეფაში ახალ წესზე იმსჯელებენ




ევროპულ ფეხბურთში, შესაძლოა, ახალი წესი ამოქმედდეს. საქმე ეხება საფლეიოფო მატჩებში სტუმრად გატანილი გოლის უპირატესობას, რომელიც, სავარაუდოდ, მალე გაუქმდება. უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ წესის გაუქმებაზე მსჯელობა გუშინდელი დღიდან დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში, თუკი ორივე მატჩის ჯამში ფრე დაფიქსირდება, მომდევნო ეტაპზე ის გუნდი გადის, რომელსაც სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი. მართალია, მეტოქის მოედანზე გატანილი გოლი „2 გოლად“ არასდროს ითვლებოდა, მაგრამ ყოველთვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე საკუთარ მოედანზე გატანილი.

ეს წესი ფეხბურთში პირველად 1965 წელს დაინერგა, მოგვიანებით კი ყველა ევროტურნირზე გავრცელდა.

მუსირებს აზრი, რომ ადრე მასპინძელ გუნდებს უფრო მეტი უპირატესობა ჰქონდათ, ვიდრე ახლა, რადგან მეტოქის მოედანზე მატჩში მონაწილეობა უფრო დიდ სირთულეებთან და დაძაბულობასთან იყო დაკავშირებული, ახლა კი საკუთარ მოედანზე თამაშის უპირატესობა შემცირებულია.

უეფაში გაჩნდა იდეა, რომ ამ წესის გაუქმებით შემტევი ფეხბურთის თამაში წახალისდეს.

ტოპ-მწვრთნელებმა ეს იდეა ჯერ კიდევ სექტემბერში, უეფას ნიონში გამართულ კონფერენციაზე წამოაყენეს. თუ წესი მართლაც გაუქმდება, 2 მატჩის ჯამში ფრეს დაფიქსირების შემთხვევაში, პირდაპირ დამატებითი დრო და, საჭიროების შემთხვევაში, პენალტების სერია დაინიშნება.

# შედეგები

**4 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ლივერპული .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 25 | 19 | 5 | 1 | 56-15 | 62 |
| 2.სიტი | 25 | 19 | 2 | 4 | 66-20 | 59 |
| 3.ტოტენჰემი | 25 | 19 | 0 | 6 | 51-24 | 57 |
| 4.ჩელსი | 25 | 15 | 5 | 5 | 45-23 | 50 |
| 5.მანჩესტერი | 25 | 14 | 6 | 5 | 49-35 | 48 |
| 6.არსენალი | 25 | 14 | 5 | 6 | 51-36 | 47 |
| 7.ვულვზი | 25 | 11 | 5 | 9 | 33-32 | 38 |
| 8.უოტფორდი | 25 | 9 | 7 | 9 | 33-34 | 34 |
| 9.ევერტონი | 25 | 9 | 6 | 10 | 36-36 | 33 |
| 10.ბორნმუთი | 25 | 10 | 3 | 12 | 37-44 | 33 |
| 11.ლესტერი | 25 | 9 | 5 | 11 | 30-31 | 32 |
| 12.ვესტ ჰემი | 25 | 9 | 5 | 11 | 31-38 | 32 |
| 13.ბრაიტონი | 25 | 7 | 6 | 12 | 27-36 | 27 |
| 14.კრ.პალასი | 25 | 7 | 5 | 13 | 26-33 | 26 |
| 15.ნიუკასლი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-33 | 24 |
| 16.საუთჰემპტონი | 25 | 5 | 9 | 11 | 27-42 | 24 |
| 17.ბარნლი | 25 | 6 | 6 | 13 | 26-46 | 24 |
| 18.კარდიფი | 25 | 6 | 4 | 15 | 22-46 | 22 |
| 19.ფულემი | 25 | 4 | 5 | 16 | 25-55 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 25 | 2 | 5 | 18 | 13-46 | 11 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ლეგანესი .............................. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 15 | 5 | 2 | 60-23 | 50 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 12 | 8 | 2 | 32-14 | 44 |
| 3.რეალი | 22 | 13 | 3 | 6 | 37-26 | 42 |
| 4.სევილია | 22 | 10 | 6 | 6 | 36-23 | 36 |
| 5.ხეტაფე | 22 | 8 | 8 | 6 | 25-18 | 32 |
| 6.ბეტისი | 22 | 9 | 5 | 8 | 26-26 | 32 |
| 7.ალავესი | 22 | 9 | 5 | 8 | 22-27 | 32 |
| 8.ვალენსია | 22 | 6 | 12 | 4 | 24-20 | 30 |
| 9.სოსიედადი | 22 | 8 | 6 | 8 | 27-25 | 30 |
| 10.ეიბარი | 22 | 7 | 8 | 7 | 29-30 | 29 |
| 11.ლევანტე | 22 | 7 | 6 | 9 | 32-40 | 27 |
| 12.ბილბაო | 22 | 5 | 11 | 6 | 23-28 | 26 |
| 13.ლეგანესი | 22 | 6 | 8 | 8 | 22-27 | 26 |
| 14.ვალიადოლიდი | 22 | 6 | 7 | 9 | 19-28 | 25 |
| 15.ესპანიოლი | 22 | 7 | 4 | 11 | 25-36 | 25 |
| 16.ხირონა | 22 | 5 | 9 | 8 | 23-31 | 24 |
| 17.სელტა | 22 | 6 | 6 | 10 | 34-36 | 24 |
| 18.რაიო | 22 | 6 | 5 | 11 | 26-38 | 23 |
| 19.ვილიარეალი | 22 | 3 | 10 | 9 | 23-31 | 19 |
| 20.უესკა | 22 | 3 | 6 | 13 | 21-39 | 15 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლას პალმასი-სარაგოსა ................. 1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-უნიონი .......................... 3:2

**იტალია. სერია ა**

ფროზინონე-ლაციო ....................... 0:1

კალიარი-ატალანტა ....................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 19 | 3 | 0 | 46-15 | 60 |
| 2.ნაპოლი | 22 | 16 | 3 | 3 | 42-18 | 51 |
| 3.ინტერი | 22 | 12 | 4 | 6 | 31-16 | 40 |
| 4.მილანი | 22 | 9 | 9 | 4 | 29-21 | 36 |
| 5.ატალანტა | 22 | 10 | 5 | 7 | 48-30 | 35 |
| 6.რომა | 22 | 9 | 8 | 5 | 41-30 | 35 |
| 7.ლაციო | 22 | 10 | 5 | 7 | 31-25 | 35 |
| 8.სამპდორია | 22 | 9 | 6 | 7 | 39-29 | 33 |
| 9.ფიორენტინა | 22 | 7 | 10 | 5 | 33-25 | 31 |
| 10.ტორინო | 22 | 7 | 10 | 5 | 27-22 | 31 |
| 11.სასუოლო | 22 | 7 | 9 | 6 | 34-33 | 30 |
| 12.პარმა | 22 | 8 | 5 | 9 | 24-30 | 29 |
| 13.ჯენოა | 22 | 6 | 6 | 10 | 29-39 | 24 |
| 14.სპალი | 22 | 5 | 7 | 10 | 19-30 | 22 |
| 15.კალიარი | 22 | 4 | 9 | 9 | 19-31 | 21 |
| 16.უდინეზე | 22 | 4 | 7 | 11 | 18-30 | 19 |
| 17.ემპოლი | 22 | 4 | 6 | 12 | 27-44 | 18 |
| 18.ბოლონია | 22 | 3 | 8 | 11 | 17-34 | 17 |
| 19.ფროზინონე | 22 | 2 | 7 | 13 | 16-43 | 13 |
| 20.კიევო | 22 | 1 | 9 | 12 | 19-44 | 9 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

გაზელეკი-ვალანსიენი .................. 0:0

ლანსი-ბეზიე ............................... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-მორეირენშე ............ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ქონია ............................... 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რუმინეთი ბორჯღალოსნებს ქართველი მწვრთნელით დაუხვდება




საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რაგბი ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის მზადებას „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეუდგა. წლის პირველ შეხვედრას ჩვენი გუნდი 9 თებერვალს, საქართველოს დროით 16 საათზე კლუჟში, მასპინძელ რუმინეთთან გამართავს. ტრადიციულად, ამ დღეს გათამაშდება რუმინეთთან საზიარო „ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი“, თამაში კი ქვეყნებს შორის 300-წლიან ურთიერთობას მიეძღვნება.

ნაკრებმა პირველი ვარჯიში რუსთავის რაგბის სტადიონზე გამართა, რომელიც მომქანცველი გამოდგა და თითქმის 2 საათი გაგრძელდა. თავდაპირველად ხაზისა და შერკინების მოთამაშეები ცალ-ცალკე ემზადებოდნენ, მერე კი გაერთიანდნენ და შეტევისა და დაცვის სისტემები დახვეწეს.

ვარჯიშის ხანგრძლივობასა და ხარისხზე ისაუბრა ბორჯღალოსანთა დაცვის მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა, რომელიც ამბობს, რომ ამის საშუალება გუნდს 3-დღიანმა შეკრებამ მისცა:

– 3 დღეში ბევრი რამ მოვასწარით, საქმე წინ წავიგდეთ და ზუსტად ამის შედეგია მეორე შეკრებაზე მოცულობითი სამუშაო რომ გავწიეთ და 2 საათი ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ახალგაზრდა ბიჭები მოტივირებულები არიან და დარწმუნებული ვარ, ამ ტემპს შევინარჩუნებთ.

რაც შეეხება მომავალ თამაშს, მთავარია ჩვენი დაცვისა და შეტევის სისტემებმა კარგად იმუშაოს, ინდივიდუალურად ყველაფერი ხარისხიანად შევასრულოთ და ნაკლებად საინტერესოა, რას შემოგვთავაზებს რუმინეთი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანალიზს არ ვაკეთებთ, თუმცა ფოკუსირებული ჩვენს თამაშზე ვართ და არა – მეტოქეზე.

ვეტერანი ბორჯღალოსანი ლაშა თავართქილაძე რუმინეთის ეროვნული ნაკრების შერკინების მწვრთნელად დაინიშნა. 32 წლის სპეციალისტს 2009-2011 წლებში 9 კეპი აქვს მოხვეჭილი. სამწვრთნელო საქმიანობა მან თბილისის არმიაში დაიწყო, 2017 წელს კი რუმინეთში გადაბარგდა და ბუქარესტის შერკინების მწვრთნელად დაინიშნა. პარალელურად კი, სწავლას აგრძელებდა და მესამე დონის მწვრთნელის ლიცენზია აიღო.

**ლაშა თავართქილაძე:**

– 2017 წლის ივლისიდან ბუქარესტის შერკინების მწვრთნელი ვარ და ამ წელიწადნახევარში, კლუბის ისტორიაში პირველად, გუნდმა 2 თასი მოიგო. გარდა ამისა, ბუქარესტი პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზეა და ვეცდებით ჩემპიონის ტიტულიც მოვიპოვოთ, რაც ახალგაზრდა კლუბისთვის დიდი მიღწევა იქნება.

ბოლო წელიწადნახევარში გუნდის თამაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ რუმინეთის ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ბუქარესტიდან 12 მორაგბეს უხმეს. მათი უმეტესობა მორკინალები არიან, ეს რუმინეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასაც არ გამორჩა და განახლების გზაზე შემდგარ გუნდში, შერკინების მწვრთნელად ქართველ სპეციალისტს უხმეს.

ბედის ირონიით, ლაშა თავართქილაძე რუმინეთის ნაკრების შერკინების მწვრთნელის რანგში თავის პირველ შეხვედრას მშობლიური ქვეყნის, საქართველოს წინააღმდეგ გამართავს, რომლის კვართითაც ერთ დროს თავად უთამაშია, მათ შორის, რუმინეთის წინააღმდეგაც.

თავართქილაძე საქართველოსთან გასამართი მომავალი მატჩის წინ, პროგნოზებისგან თავს იკავებს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ საინტერესო, დაძაბული და მძიმე მატჩი იქნება.

# ქორქია-საკანდელიძის მემორიალი უსენსაციოდ დაიწყო



ქუთაისში დაიწყო ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას რიგით მე-14 მემორიალური ტურნირი. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კალათბურთელების ხსოვნის ტურნირი 2006 წლიდან იმართება, ბოლო 2 წელია კი მას ქორქია-საკანდელიძის მშობლიური ქალაქი ქუთაისი მასპინძლობს.

მემორიალის მონაწილე სუპერლიგის 8 გუნდი 2 ჯგუფშია განაწილებული. პირველ ტურში, ყველა გუნდმა ითამაშა და თუკი ერთ შეხვედრას არ ჩავთვლით, ყველა მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა.

პირველ მატჩში ერთმანეთს დინამო და ბათუმი შეხვდნენ. შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. წააგო გუნდმა, რომელიც თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ლიდერობდა. ბათუმელებმა თითქმის მოგებული მატჩი წააგეს. შეხვედრის დასრულებამდე 1 წუთით ადრე ზღვისპირელები 4 ქულით ლიდერობდნენ, თუმცა დინამოელთა სიზუსტისა და ბათუმელთა შეცდომების შედეგად, დედაქალაქელებმა 68:70 იმარჯვეს.

დინამოში 22 ქულით საუკეთესო იყო ხორვატი ცენტრი დემაგოი ბუბალო. 18 ქულა მიითვალა ლევან გრძელიძემ, ჯორდან სვოპშირის ანგარიშზე კი 10 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. ბათუმში 21 ქულით კეისი შეპარდი გამოირჩა. 15 ქულა და 9 მოხსნა სტეფან ანდრეევიჩმა მოაგროვა, დეიან იეფტიჩის ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა.

მეორე შეხვედრაში ერთქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. თსუ-ჰიუნდაიმ დაძაბულ ბრძოლაში – 81:80 დაამარცხა ოლიმპი. მატჩის პერიოდები გუნდების მონაცვლეობითი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ათწუთეული თსუ-ჰიუნდაიმ 24:16 მოიგო, მეორე კი ოლიმპელთა უპირატესობით – 24:14 დასრულდა. მეორე ნახევარში პირიქით მოხდა. ჯერ ოლიმპმა მოიგო მესამე მეოთხედი (25:18), შემდეგ კი, მატჩის გადამწყვეტი პერიოდი თსუ-ჰიუნდაელთა სასარგებლოდ – 25:15 დასრულდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა საბოლოოდ 1 ქულით იმარჯვა.

თსუ-ჰიუნდაელებს ამერიკელმა გამთამაშებელმა, კრის ანდერსონმა ულიდერა, რომელმაც 29 ქულა მიითვალა. 13 ქულა მოაგროვა რატკო პეტრიჩმა, ხოლო კოკა ტომარაძის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 24 ქულით მარკ ოგდენი გამოირჩა. 19 ქულა რევაზ როგავამ მოაგროვა. ჩარლზ ბენეტმა ოლიმპელებს 12 ქულა მიაშველა.

მესამე მატჩში დელტა და მგზავრები დაუპირისპირდნენ. ეს შეხვედრაც დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. მგზავრებში ითამაშა ახალმა ლეგიონერმა, ამერიკელმა პრინს უილიამსმა, რომელმაც დებიუტი 23 ქულით აღნიშნა, თუმცა მისმა გუნდმა ბოლო წამებზე წააგო – 94:97. დელტას 2 ლეგიონერი აკლდა. კარგა ხნის წინ ტრავმირებულ არტიომ შვეცს ბოლო მატჩებია, უილიამ ბრანდენბერგი შეუერთდა, თუმცა დელტა მათ გარეშეც არ უჩივის შედეგებს. ლექსო ლაფანაშვილის გუნდი თასზე მეოთხედფინალში გავიდა, ქორქია-საკანდელიძის მემორიალიც გამარჯვებით დაიწყო.

დელტას ბექა ბექაურმა ულიდერა, რომელმაც 22 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. 20 ქულა მიითვალა ოთარ ფხაკაძემ, საბა ლობჟანიძე კი გამარჯვებულებს 16 ქულით შეეწია. მგზავრებში 29 ქულით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი. რეზო ჩაჩანიძემ 7 სამქულიანი და 26 ქულა ჩააგდო, ზემოხსენებულმა პრინს უილიამსმა კი 23 ქულასთან ერთად 6 მოხსნა და 5 პასი მიითვალა.

ბოლო მატჩში ტურნირის მასპინძელი და გასული წლის გამარჯვებული ქუთაისი კაკტუსს დაუპირისპირდა და 15 ქულით დაამარცხა – 89:74. კაკტუსელები 3 პერიოდი ტოლ-სწორად ეთამაშებოდნენ მასპინძლებს და შანსსაც ინარჩუნებდნენ. ბოლო პერიოდის წინ ქუთაისი მხოლოდ 6 ქულით იგებდა, თუმცა საბოლოოდ გამარჯვებამდე მისვლა არ გასჭირვებია.

ქუთაისელთაგან 17 ქულით დეჟუან რაიტი გამოირჩა. 13 ქულა მოაგროვა სამმა კალათბურთელმა – ჯონათან ლიმ, ელჯეი ბუსმა და ტერენს ტომპსონმა. ამ უკანასკნელმა 10 მოხსნაც მიითვალა და მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლის ავტორი გახდა. კაკტუსში 18 ქულით ბომბარდირი გახდა ნიკოლას ნილი. ანატოლი ბოისამ და დელანო სპენსრმა 14-14 ქულა მიითვალეს.

# ბასილაშვილი სოფიაში პირველივე წრეში დამარცხდა



სოფიას წარმომადგენლობითი ტურნირი წარუმატებელი გამოდგა ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის. ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, ქართველი ჩოგბურთელი კორტზე პირველად სწორედ ბულგარეთის დედაქალაქში გამოჩნდა.

ბასილაშვილი ტურნირზე მე-5 ნომრად იყო განთესილი და, შესაბამისად, პირველ წრეშიც შედარებით სუსტი მეტოქე ერგო. დანიელ ბრანდსი ბობოლა ჩოგბურთელების რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. ამაზე მისი რეიტინგიც მეტყველებს – გერმანელი მსოფლიოს რეიტინგში 180-ე ჩოგანია.

ბრანდსი ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ამოვიდა და შეიძლება ითქვას, გვარიანი სენსაციაც მოახდინა. ბასილაშვილი საკუთარ თავს არ ჰგავდა და 6:7, 5:7 დამარცხდა.

პირველ სეტში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, მეტოქეები საკუთარ მოწოდებას იგებდნენ. ტაი ბრეიკში კი დაძაბული გათამაშება ბრანდსმა 9:7 მოიგო.

მეორე სეტში, თითქოს ყველაფერი გამოსწორდა, ბასილაშვილი 4:0 დაწინაურდა, მაგრამ ამის შემდეგ ნიკამ სამჯერ დაკარგა საკუთარი მოწოდება. ცხადია, სეტიც და თამაშიც დათმო. ბრანდმა 11 ეისი მიითვალა, ბასილაშვილმა – 7. ქართველმა ჩოგბურთელმა 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა, გერმანელმა – 4.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ინტერნეტით გართული ტაილანდელი აივნიდან გადავარდა და დაიღუპა



ვიდეოთამაშების მოყვარული იმ დროს დაიღუპა, როდესაც ინტერნეტთან ჩართვის სიჩქარის გაუმჯობესებას ცდილობდა.

21 წლის პატანადეჟ ჰომჰუანი ბანგკოკში ვიდეოთამაშის პროფესიონალების ტურნირში მონაწილეობის მისაღებად იყო ჩასული. ის და მისი მეგობრები სასტუმროში დაბინავდნენ და შეჯიბრის წინ ვარჯიშობდნენ.

დაღუპულის ნაცნობები ამტკიცებენ, რომ ის ჩატში ცუდი კავშირის გამო წუხდა. ახალგაზრდამ, რომელიც ინტერნეტში ჩასართავად 4გ-ი მხარდაჭერის მქონე მობილური ტელეფონით სარგებლობდა, გადაწყვიტა უფრო კარგი მიღების დასაჭერი ადგილი მოეძებნა და სასტუმროს ნომრის აივანზე გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰომჰუანის მეგობრებმა, რომლებიც იმავე სასტუმროში იყვნენ დაბინავებულები, შენიშნეს, რომ მისი მოთამაშე პერსონაჟი აღარ მოძრაობდა. მათ მის ნომერში შეიხედეს, მაგრამ ახალგაზრდა იქ ვერ აღმოაჩინეს. ერთ-ერთმა ფანჯარაში გადაიხედა და მიწაზე გართხმული მისი სხეული შენიშნა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა ჰომჰუანის გადარჩენა ვერ შეძლეს. ის მიღებული ტრავმებისგან ადგილზევე გარდაიცვალა.

# მძინარე დედამ თავისი თმებით კინაღამ ბავშვი გაგუდა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ემა ლიუის ჩიპილიმ ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში ისაუბრა იმ შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც საკუთარი თმებით კინაღამ შვილი გაგუდა.

29 იანვარს ქალი დასაძინებლად თავის ერთი წლის შვილ ლინკოლნთან ერთად დაწვა. მისი თქმით, ის ბავშვს ცალკე საწოლში არასოდეს აწვენ. შუა ძილის დროს 35 წლის ქალმა, რომელსაც კიდევ ხუთი ბავშვი ჰყავს, იგრძნო, რომ ბავშვი მკვეთრ მოძრაობებს აკეთებდა, თვალი გაახილა და დაინახა, რომ მისი თმები ლონკოლნს ყელზე ჰქონდა შემოხვეული.

ქალი ამის დანახვაზე პანიკაში ჩავარდა და შეეცადა ბავშვი თავისი თმებისგან გაეთავისუფლებინა, თუმცა მისი ეს მცდელობა ვითარებას კიდევ უფრო აუარესებდა, თმები ბავშვის ყელს სულ უფრო მჭიდროდ ეხვეოდა. ქალმა შიშისგან დაიყვირა, ხმაურზე მეუღლემ მოირბინა და ბავშვის განთავისუფლებაში დაეხმარა.

მისი თქმით, ბავშვი არ დაშავებულა, მაგრამ ძალიან შეშინდა, ხოლო ყელზე თმების ნაკვალევი დარჩა. თავად ქალმა კი ძალიან ინერვიულა და რამდენიმე ღამე დაძინებას ვეღარ ახერხებდა.

– დაძინების წინ თმებს ყოველთვის ვიხვევდი, მაგრამ ამ ჯერზე თავის ტკივილის გამო თმებგაშლილმა დავიძინე, – აღიარა ქალმა და ყველა დედას მოუწოდა, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ და მისი შეცდომა არ გაიმეორონ.

# კოღოს კბენის შემდეგ პაკისტანელს ფეხები დაუსივდა



კოღოს კბენიდან ხუთი წლის შემდეგ პაკისტანელი საწოლიდან წამოდგომას ვეღარ ახერხებს. მამაკაცს სპილოს დაავადების მძიმე ფორმა განუვითარდა.

პროვინცია სინდის მკვიდრმა შახიდ ჰუსეინმა პირველად ხუთი წლის წინ შენიშნა, რომ ფეხები უსივდებოდა და ტკივილს გრძნობდა. თავდაპირველად ის ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მალე კიდურები ის ძლიერ დაუსივდა, რომ იძულებული გახდა ექიმისთვის მიემართა. ექიმებმა მას სპილოს დაავადების დიაგნოზი დაუსვეს – დაავადება, რომლის დროსაც ლიმფის გაჭედვის გამო სხეულის რომელიმე ნაწილი დიდდება.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახმა ჰუსეინის სამედიცინო პროცედურებზე მთელი დანაზოგი დახარჯა, ადგილობრივმა ექიმებმა მისი დახმარება ვერ შეძლეს. მათ მამაკაცს დედაქალაქში წასვლა ურჩიეს, მაგრამ მას ამის საშუალება აღარ გააჩნია. მისი მეუღლის, ფატიმას თქმით, მათ უკვე გაყიდეს მთელი სამკაულები და დახარჯეს მთელი ფული, რომელსაც ქალიშვილის ქორწილისთვის აგროვებდნენ.

ჰუსეინმა მუშაობის და, შესაბამისად, ფულის გამომუშავების უნარი დაკარგა. ის საწოლიდან ადგომას ვერ ახერხებს, ვინაიდან მისი ფეხები 50 კილოგრამს იწონის, ხოლო თითოეული მათგანის გარშემოწერილობა 88 სანტიმეტრს აღწევს. მამაკაცმა დახმარების თხოვნით ხელისუფლებას მიმართა, თუმცა პასუხი არ მიუღია.

# უზარმაზარი სიმსივნის ამოსაკვეთად პაციენტს სისხლი გამოუღეს



ავსტრალიის ქალაქ პერტის მკვიდრს უზარმაზარი სიმსივნე მუცელში, უბრალოდ, ასაკის გამო გამობერილი მუცელი ეგონა.

უეინ გეირმა შეამჩნია, რომ მუცელი ეზრდებოდა, თუმცა ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. მან ექიმებს მხოლოდ მას შემდეგ მიმართა, როდესაც სუნთქვის პრობლემები დაეწყო. გამოკვლევების შედეგად მას 32 სანტიმეტრის დიამეტრის სიმსივნე აღმოუჩინეს, რომლის წონამ 12 კილოგრამი შეადგინა. მას მისი მუცლის დიდი ნაწილი ჰქონდა დაკავებული და შინაგან ორგანოებს ავიწროვებდა.

სიმსივნის მოცილების დროს გამოყენებული იქნა ნოვატორული მეთოდი: ხელოვნური სისხლის ბრუნვის მოდიფიცირებული მოწყობილობის დახმარებით, ავადმყოფის ორგანიზმიდან სისხლი ამოქაჩეს, შემდეგ კი ისევ შეუშვეს ორგანიზმში. ოპერაცია 12 საათი გრძელდებოდა და წარმატებით დასრულდა.

– ეს სრულიად სრულყოფილი მეთოდია მსგავსი ოპერაციების ჩასატარებლად. ის მათ უსაფრთხოდ და ზოგიერთი ავადმყოფისთვის ხელმისაწვდომს ხდის, – განმარტა ქირურგმა მარკ ნიუმენმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 6 თებერვლისთვის



**ვერძი** – არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** – ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მოიპოვებთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** – ძველი, დავიწყებული პრობლემები კვლავ წამოტივტივდება. მოვლენები საღად შეაფასეთ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ლომი** – ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **სასწორი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. დღეს საოცრად გაგიმართლებთ ნებისმიერ სფეროში. **მორიელი** – პირად ცხოვრებაში პრობლემებს გადააწყდებით. თქვენი არავის ესმის. **მშვილდოსანი** – ძალზე წარმატებული დღეა. ყველა ახალი წამოწყება გაამართლებს. **თხის რქა** – ნუ იქნებით ზედმეტად ჩაკეტილი. გარშემომყოფებს გული გაუხსენით. სიზმარი აგიხდებათ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დროულად დაამთავრეთ. საპირისპირო სქესთან სერიოზული კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** – საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 8. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. ოფიციალური დოკუმენტი; 20. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

**თარაზულად**: 5. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 9. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 10. მდინარე ზუგდიდში; 11. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 13. ცხელი შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. წვნიანი კერძი; 21. ლექციის, მოხსენების მოკლე ჩანაწერი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. გამომშრალი, გამხმარი ყურძენი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლილე; 2. ბრუკი; 3. ხაიამი; 5. ოხორი; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. აზნაური; 12. აირზენა; 14. უოლესი; 15. დავითი; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. ლარები; 4. ბომონდი; 7. შტურმი; 9. მწნილი; 11. ფორმოზა; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. გლორია; 18. პელე; 19. ინტელექტი; 20. გოზინაყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წახნაგი; 2. ხარები; 3. შტურმანი; 4. რაფინადი; 7. დარდანელი; 8. ჟოეკვარა; 12. ოდოგრაფი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. მორჩილი; 19. იავა; 20. აურა.

**თარაზულად:** 5. კავკასია; 6. კატალონია; 9. ხანუმა; 10. ბეშუმი; 11. მედეა; 13. ოდერი; 15. ბითაძე; 18. გურია; 21. ბაქტრიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

# ნინია კაკაბაძეს ბათუმში სახლი გაუტეხეს



ნინია კაკაბაძეს ბათუმში სახლი გაუტეხეს:

– რა ვიცი, მთელი 90-იანები ისე გავიარე, რომ არავის გავუქურდივართ. ბათუმის ბინა გამიტეხეს, ფანჯრიდან შეძვრნენ და წაიღეს, თუ რამე დენში ერთდებოდა, ყველაფერი. მადლობა პატრულს!

# საქართველო ვალდებულია, 2021 წლამდე უმუშევრობის კომპენსაცია დააწესოს





საქართველო ვალდებულია, 2021 წლამდე უმუშევრობის კომპენსაცია დააწესოს.

ამის შესახებ პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელმა ირაკლი პეტრიაშვილმა რადიო „პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

მისივე თქმით, ამ ვალდებულებას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გულისხმობს. ამასთან, როგორც პეტრიაშვილმა აღნიშნა, მთავრობისა თუ პარლამენტის წევრები მაქსიმალურად ცდილობენ, ამას ხაზი არ გაუსვან.

შეგახსენებთ, წინა თვეში დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ განაცხადა, რომ უმუშევრობის კომპენსაციის საკითხზე მსჯელობა უნდა დაიწყოს. კაკულია აღნიშნულ საკითხზე, ფინანსთა სამინისტროსთანაც გეგმავდა მუშაობას. თუმცა, უმუშევრობის კომპენსაციის თემაზე რამდენიმე დღეში ფინანსთა მინისტრმაც გააკეთა განცხადება. ივანე მაჭავარიანის შეფასებით, ამ ეტაპზე უმუშევრობის კომპენსაციის საჭიროებას არ ხედავს.

# დამწუხრებული სპილო დაკარგულ ნაშიერს ეძებს

სამხრეთ ინდოეთში დამწუხრებული დედა სპილო რამდენიმე დღე ეძებდა თავის დაღუპულ ნაშიერს.

სპილოების ჯოგი დამბისკენ წყლის დასალევად გაემართა. მათთან ერთად იმყოფებოდა ერთი წლის სპლიყვიც. ის ციცაბო ფერდობზე ასვლას ცდილობდა, თუმცა ფეხი დაუცდა, ქვევით ჩავარდა და დაიღუპა.



ტყის მცველების თქმით, რომლებიც მომხდარის თვითმხილველები გახდნენ, დედა რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა პატარა ფეხზე წამოეყენებინა, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს ის ტყისკენ გაემართა თანამოძმეებისთვის დახმარების სათხოვნელად. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს დაღუპულ სპლიყვთან ტყის მცველებმა მიახლოება. ის წაიღეს და დაასაფლავეს.

იმ დღის შემდეგ დედა სპილო ყოველდღე ბრუნდება იმ ადგილზე და თავის დაკარგულ ნაშიერს საათობით ეძებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გურანდა გაბუნიას უკანასკნელი სურვილი ზუგდიდში დათა თუთაშხიას ძეგლის დადგმა იყო

80 წლის ასაკში მსახიობი გურანდა გაბუნია გარდაიცვალა. მსახიობი, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართულ თეატრს შეალია, ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა.



თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა გურანდა გაბუნიას უკანასკნელი სურვილი გაასაჯაროვა:

– ვურეკავდი, მართლა, ყურმილი არ აიღო, ამ ბოლოს არ პასუხობდა, საკომუნიკაციოდ მისი მეგობარი ლიკა გვყავდა, ბოლოს მე და მაკა ვასაძემ ვნახეთ საავადმყოფოში, ხელებით და თვალებით გველაპარაკა, ისე საუბარი აღარ შეეძლო, ისეთი გურანდა არასდროს მინახავს, ფიზიკურადაც... უცნაური და თავისებური ქალი იყო... მეგობრები უყვარდა და ისინი, ვისაც გურანდა და ოთარი უყვარდა, რა, ჩვენც ასე არ ვართ? თუმცა საერთო ენას მაინც გამონახავდა ოპონენტებთან... შემოირიგებდა, დამულამება გჭირდებოდა მისი შენი მეგობარი რომ გამხდარიყო. როლებისთვის იბრძოდა, სულ სცენაზე უნდოდა ყოფნა, დგომა, ახალი როლებით სიცოცხლე, რომელ ნამდვილ არტისტს არ უნდა იგივე? მოკლედ, გურანდა მაინც განსხვავებული იყო, სხვებისგან ბევრი თვისებით გამორჩეული, ხალასი სახასიათო არტისტი, რომელმაც ოთარს უფრო მეტი დრო და ენერგია დაუთმო, ვიდრე საკუთარ კარიერას.

ერთი ოცნება დარჩა: დათა თუთაშხიას ძეგლი ზუგდიდში. ნიკოლოზ წულუკიძე, გიორგი ყაჯრიშვილი – ჩვენ უნდა შევძლოთ და ეს უკანასკნელი სურვილი ავუსრულოთ.

# მომღერალი შავი პრინცი გარდაიცვალა

– შავი პრინცის ძმები, ძებნილები და ჯერონიმო, – ეს სიმღერა გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი ჰიტი იყო. მისი ავტორი, ჰიპ ჰოპის კულტურის დამაარსებელი საქართველოში აკაკი ბაბუნაშვილი, მეტსახელად შურიკა იყო.





შავი პრინცი 47 წლის ასაკში თირკმლის უკმარისობით გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ის ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს ესტუმრა, სადაც 10-წლიანი დაბრუნების შესახებ ისაუბრა.

**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

– წარმოუდგენელი სინანული მექნებოდა, ამ გადაცემის ჩაწერა რომ გადამედო. დაგვირეკა და გვითხრა, რომ ახალი კლიპის პრემიერისთვის ნანუკას შოუს ეთერი უნდოდა. არც ერთი წუთი არ მიფიქრია დავთანხმებოდი ადამიანს, რომელმაც ბნელ 90-იანებში ნათელი სხივები შეიტანა. პრინცთან ბოლო შეხვედრა იქნება ოთხშაბათს ნანუკას შოუში.

**ჯერონიმო:**

– შურიკ, მაგრად გატეხე!

**გოჩა აბულაძე, მომღერალი:**

– შავი პრინცი... შურიკ, სულ გვემახსოვრები! მადლობა საინტერესო და მაგარო ხელოვანო ყველა ბედნიერი წუთისთვის, რასაც იმ ბნელ პერიოდში გვჩუქნიდი ყველას!

**ნიკა ქავთარაძე, იუმორისტი:**

– ქართული რეპი თუ არსებობს, როგორც სოციალური მოვლენა, ალბათ ამ კაცს ძალიან დიდი წვლილი აქვს ამ ყველაფერში. ჯერ კიდევ 20 წლის წინ წარმოუდგენლად საქმიანად და დიდი სერიოზულობით უდგებოდა ამ ჟანრს. ძალიან ნიჭიერი და კეთილი კაცი წავიდა იმ ქვეყნად.

**ამიკო ჩოხარაძე, იუმორისტი:**

– შავი პრინცი გარდაიცვალა... ვიცნობდი პირადად და მეწყინა ძალიან...?? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მთელი ჩვენი ბავშვობაა.

**ერეკლე დეისაძე, მომღერალი:**

– შავი პრინცი... ჩემი ბავშვობა დამთავრდა... მშვიდობით მეგობარო!

**ნიაზ დიასამიძე, მომღერალი:**

– ეს ადამიანი არის ეპოქის შემქმნელი... მადლობა! სამუდამო!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მარტოხელა დედა ესკორტში დასაქმდა და ვალები გაისტუმრა



ლონდონის მკვიდრმა მიშელ სმიტმა ჟურნალისტებთან საუბარში მოყვა, თუ როგორ მოახერხა ესკორტში მუშაობის წყალობით დიდი ვალების გასტუმრება. მისი ისტორია ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

დაახლოებით ხუთი წლის წინ, მიშელს ბავშვი შეეძინა, მაგრამ იძულებული იყო, ოფისში დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობა გაეგრძელებინა. მან კრედიტი აიღო და გარკვეული დროის შემდეგ მისმა ვალმა 25 ათას ფუნტ სტერლინგს მიაღწია.

მას არავინ ჰყავდა დამხმარე და ახალგაზრდა დედამ ნაცნობის რჩევით გადაწყვიტა, მუშაობა ესკორტში დაეწყო. მან ქალი დაარწმუნა, რომ მას ინტიმური მომსახურების გაწევა არ მოუხდებოდა.

33 წლის სმიტის თქმით, ამ წლების განმავლობაში მან 20 ათასი ფუნტი სტერლინგის გამომუშავება, ამასთან მხოლოდ ნაღდი ფულით, შეძლო. გარდა ამისა, კლიენტები მას სხვადასხვა საჩუქრებს უკეთებენ, დაწყებული შამპანურიდან, ბრილიანტით დამთავრებული. სმიტი ნებისმიერი ასაკის მამაკაცს ხვდება და ირწმუნება, რომ ინტიმური მომსახურება არავისთვის გაუწევია.

– მე ხშირად მესმის, რომ ისინი ამას დამატებითი ანაზღაურების ხარჯზე თანხმდებიან, მაგრამ მე ასეთი არ ვარ, – განაცხადა მარტოხელა დედამ.

სმიტი ასევე ირწმუნება, რომ ის კლიენტებისგან ფულს არ იღებს, ისინი მას თავად ჩუქნიან იმდენს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიან. ეს მას საშუალებას აძლევს, საკუთარი გამომუშავებიდან გადასახადები არ გადაიხადოს.

ქალის თქმით, მისი კლიენტების უმრავლესობა ბიზნესმენები არიან, რომლებსაც, უბრალოდ, წვეულებაზე მარტო გამოჩენა არ სურთ, რათა შემდეგ იქ მდიდარ მამაკაცებზე მონადირე ქალებმა არ შეაწუხონ. სმიტის თქმით, მის სამსახურში გამონაკლისებიც იყო, მაგალითად, ერთ-ერთმა მას ცოლად გაყოლა და მასთან ერთად დუბაიში გამგზავრებაც კი შესთავაზა.

სმიტი გულდასმით ემზადება ყოველი პაემნისთვის, კლიენტის სურვილის შესაბამისად არჩევს სამოსსა და მაკიაჟს. ის ყოველთვის წინასწარ საზღვრავს უკან დასახევ გზას, თუ რაიმე ისე არ წარიმართა, როგორც საჭიროა.

# სამგლოვიარო განცხადებები

სრულიად აფხაზეთის ინტელიგენცია და აფხაზთა კეთილშობილთა გვარის საზოგადოება დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ დალი ხორავასა და თამაზ ხუბუას საყვარელი დედისა და სიდედრის, ქალბატონი



## ლეილა ლაკერბაია-ხორავას

გარდაცვალების გამო.

ქალბატონი ლეილა იყო დიდი პიროვნება საუკეთესო გაგებით, ფიზიკურად სრულყოფილი, სულიერად მშვენიერი, საუკეთესო აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სათნოებისა და სიკეთის განსახიერება, კოლხურ-აფხაზური კოდის მატარებელი, სათნო დედისა და საპატიო ქალბატონთა პლეადის მშვენება.

მის მშვენებასა და ცხოვრების ულამაზეს წესს ბარათაშვილის სიტყვები ესადაგება: „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს!“

ნათელში იყოს მისი სპეტაკი, უკვდავი სული!

**ანზორ ლაკერბაია, ზურაბ ბუკია, რაჟდენ ქარდავა ოჯახებით**



შვილები ნანა და ლილე დოლონაძეები, სიძეები ირაკლი ტყეშელაშვილი, მერაბ თორია, შვილიშვილები დავით, შოთა, თეონა ტყეშელაშვილები, ანნა, ნინო, გიორგი თორიები, დისშვილები ნატრული და ნარგიზა ხარებავები, რძალი თიკო ცოტაძე, სიძე ირაკლი თუთისანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

## ნაზი ჩხენკელი-დოლონაძის

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი:** 5, 6 თებერვალს.

**დაკრძალვა:** 7 თებერვალს, 14 საათზე.

**მისამართი:** ქ. თბილისი, ი.აბაშიძის ქუჩა №9 (ბაზალეთის ქ. №10).

# მოხუცმა ათი წელი გზის პირას გაატარა ქალიშვილის მოლოდინში, რომელმაც ის მიატოვა

ტაილანდელმა სამხედრო მოსამსახურემ ფეისბუქში გამოაქვეყნა ბანგკოკელი მოხუცებულის ისტორია, რომელიც ათი წელი გზის პირას იჯდა და თავის ქალიშვილს ელოდებოდა.

პორამეტ მისომფოპმა მოხუცი ადგილობრივ კაფეში სადილობის დროს შენიშნა, ის დიდხანს ადევნებდა თვალს მოხუცებულს, რომელიც მარტოდმარტო იჯდა გზის პირას დაბალ ღობეზე. მან გადაწყვიტა მოხუცებულის შესახებ შეეტყო და ამისთვის ახლომდებარე მაღაზიების თანამშრომლებს გამოჰკითხა.

ამრიგად მან გაიგო, რომ გზის პირას იჯდა უსახლკარო მოხუცებული, რომელიც უკვე წლებია პრაქტიკულად იმ ადგილს არ სცილდებოდა.

– მახსოვს, ათი წლის წინ აქ გაიარა მანქანამ, რომლის საჭესთან გოგონა იჯდა. მან მანქანა გააჩერა, მოხუცი ჩამოსვა, რაღაც უთხრა და წავიდა, თუმცა იმის გაგება, თუ რა უთხრა მან მოხუცს, ძნელი იყო, – უთხრა მისომფოპმს ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

მოგვიანებით მოხუცმა ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველს უთხრა, რომ მისი ქალიშვილი მუშაობის დაწყებას აპირებდა და აქ მცირე ხნით დატოვა. ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი შეიძლება ნებისმიერ დროს დაბრუნებულიყო და ამიტომ მოთმინებით ელოდა. ამ ხნის მანძილზე შვილის მომლოდინე მამაკაცს მაღაზიის თანამშრომელი ყოველდღე საჭმელს აძლევდა.



სამხედრო მოსამსახურეს მოხუცებულის დახმარება სურდა, თუმცა მისგან პასუხად მხოლოდ ეს მოისმინა: „ის მალე დაბრუნდება, ის მალე დაბრუნდება“ და „შენ მხოლოდ დაბრუნდი“. მისომფოპმა ეს ისტორია სოციალურ ქსელში იმის იმედით გამოაქვეყნა, რომ იქნებ ვინმემ იცნოს მოხუცი და მისი ქალიშვილის მოძებნაში დაეხმაროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

6 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6524 |
| ევრო | 3.4616 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0365 |
| 100 რუსული რუბლი | 4.0431 |

**ამინდის პროგნოზი 6 თებერვლისთვის**




## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**29 იანვრიდან**

რევაზ ინანიშვილი

**რჩეული მოთხრობები**



**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**5 თებერვლიდან**

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მონტესუმას ასული**



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 თებერვლიდან**

სულხან საბა ორბელიანი

**სიბრძნე სიცრუისა**



**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




**7 თებერვლიდან**

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## ფოსტალიონმა შეცდომით ბიკინის ნაცვლად შემკვეთს ოქროს ზოდები მიუტანა



საფრანგეთის ქალაქ ვანის მცხოვრებ ჟულიენ შანიოს შეცდომით ოქროთი სავსე ამანათი მიუტანეს.

შვებულების წინ 27 წლის შანიომ თავისი მეუღლისთვის საცურაო კოსტიუმი შეუკვეთა, თუმცა ამანათის წონამ, რომელიც მას მიუტანეს, მის შიგთავსში დააეჭვა.

ამანათის გახსნის შემდეგ მამაკაცმა მასში ლუიდორები, მე-20 საუკუნის დასაწყისის მონეტები და 20-დან 50 გრამამდე წონის ოქროს ზოდები აღმოაჩინა. ოქროს საერთო წონამ 700 გრამი შეადგინა, ხოლო მისი ღირებულება დაახლოებით 20 ათასი ევროა.

საშუალო ზომის, მაგრამ მძიმე ამანათზე მითითებული იყო მიმღების მისამართი, რომელიც შანიოს სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. მან ამანათის მისი მიმღებისთვის ჩაბარება ვერ შეძლო, ვინაიდან ის სახლში არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ შანიომ ამანათი ქალაქის კომისარიატში მიიტანა. მონეტებისა და ოქროს ზოდების შემდგომი ბედი უცნობია, ხოლო შანიოს მეუღლისთვის შეკვეთილი საცურაო კოსტიუმი დღემდე არ მიუღია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

მამამ შვილთან ერთად ატეხილი ძროხა მეზობელ სოფელში ბუღასთან წაიყვანა. ბუღას პატრონი ეუბნებათ:

– დღეს უკვე სამ ძროხასთან იყო, ასე რომ, დღეს აღარაფერი გამოგივათ.

ძროხის პატრონი ეხვეწება:

– ბიჭო, ისეთი ატეხილია, ამას უკან ვერ წავიყვანთ და გამოუშვი შენი ბუღა, იქნებ გააკეთოს. საქმე.

ბუღას პატრონი დათანხმდა და გამოუშვა, ბუღა ძროხას ყურადღებასაც არ აქცევს.

– ხომ გეუბნებოდით, არაფერი გამოვაო.

– იქნებ რამე მოუხერხო, – ეუბნება ძროხის პატრონი და უბიდან ჭაჭის არყით სავსე ბოთლს აძრობს, – ეს შენ ჩემგან „მაღარიჩად!“

მასპინძელმა იქვე ჭინჭარი დაგლიჯა, ბუღას უკნიდან მიეპარა და კვერცხებში ამოსცხო. ბუღაც მივარდა ძროხას და თავისი საქმე გააკეთა.

კმაყოფილი მამა შვილთან ერთად სახლისკენ ძროხას მოერეკება და ბავშვს ეუბნება:

– ხედავ, საქმე როგორ კეთდება?

– კი, მამი.

– მხოლოდ იცოდე, დედასთან ჭინჭარზე არაფერი წამოგცდეს!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, გუშინ სახლში მივედი, გამოვაღე კარადა და იქ შიშველი კაცი არ დამხვდა.

– რა არის მაგაში გასაკვირი, ყველა ცოლი მასეთია...

– ბიჭო, სად მყავს ცოლი?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ცოლს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, არ მელაპარაკება.

– კი მაგრამ, რატომ?

– ასეთი შეთანხმება გვქონდა...

•••

ცოლმა ტელეფონზე საუბარი დაასრულა და ქმარი ეკითხება:

– ვის ესაუბრებოდი?

– დედაჩემს, მგონი ცოტათი აურია.

– ჰოო... ე.ი. საქმე გამომჯობინებისკენ მიდის...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იურგენ კლოპი: „ტრავმები ჩვენს თამაშზე ცუდად აისახა“



ლივერპულმა პრემიერ ლიგაში ზედიზედ მეორე შეხვედრა ვერ მოიგო. ამჯერად კლოპის შეგირდებმა ვესტ ჰემის დამარცხება ვერ შეძლეს. შეხვედრა 1:1 დასრულდა და ლივერპული მანჩესტერ სიტის მხოლოდ 3 ქულით უსწრებს.

იურგენ კლოპმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ლივერპულის რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს ტრავმა აქვს და ეს გუნდზე ცუდად მოქმედებს:

– არ ვიცი, როდის დაბრუნდებიან ჰენდერსონი და ვეინალდუმი, თუმცა ჯობია, ეს მალე მოხდეს. ტრავმები ჩვენს თამაშზე ნეგატიურ გავლენას ახდენს და მინდა, ეს დასრულდეს.

## ედენ აზარმა თავის მომავალზე ისაუბრა



ჩელსის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ზაფხულში ჩელსიდან წასვლას არ გამორიცხავს.

აზარის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას ზაფხულში მიიღებს.

– ჩელსი ძალიან მიყვარს და აქ კარიერის დიდი ნაწილი გავატარე. ზუსტად არ ვიცი, დავრჩები თუ არა და გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. სეზონის დასრულებამდე კიდევ დიდი დროა, – განაცხადა აზარმა.

ედენ აზარის ყიდვა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურს და სწორედ ამ გუნდს უკავშირებენ ბელგიელ ნახევარმცველს.

## არგენტინის ნაკრებში მესის დაბრუნება არ დასტურდება

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლიონელ სკალონიმ განაცხადა, რომ მას მესისთან არ უსაუბრია და არ იცის, თუ როდის დაბრუნდება მესი ნაკრებში. მესის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშია და რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის მალე აპირებდა ეროვნულ გუნდში დაბრუნებას.

– ჩვენ ყველას გვინდა, რომ მესიმ ნაკრებში ითამაშოს, მაგრამ ჯერჯერობით მასთან არ მისაუბრია. თუ ის ნაკრებში დაბრუნებას დააპირებს, პირველი ამის შესახებ მე შევიტყობ, – განაცხადა სკალონიმ.

## მოურინიო ესპანეთის ბიუჯეტში 2 მილიონ ევროს გადაიხდის



ჟოზე მოურინიომ გადასახადების დამალვაში ბრალი აღიარა და ესპანეთის სასამართლომ მას ერთწლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

გარდა ამისა, მოურინიო ესპანეთის ბიუჯეტში 2 მილიონ ევროს შეიტანს.

მოურინიოს გარდა, ესპანეთის პროკურატურამ ბევრი სხვა ცნობილი სპორტსმენიც დამნაშავედ ცნო გადასახადების არგადახდაში, მათ შორის კრიშტიანუ რონალდუც, რომელსაც 18 მილიონი ევროს გადახდა დააკისრეს.

რონალდუს 2-წლიანი პირობითი სასჯელი მიესაჯა.

## კილიან მბაპე: „ნეიმარის გარეშე გვიჭირს და ეს გასაკვირი არ არის“



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ნეიმარის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ნეიმარის არყოფნა პსჟ-ზე ცუდად მოქმედებს.

მბაპეს აზრით, ნეიმარი ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა.

– როდესაც მესისა და კრიშტიანუ რონალდუს ტრავმა აქვთ, მათ გუნდებს ეს ყოველთვის ეტყობათ და ასეა ნეიმარის შემთხვევაშიც. მისი ტრავმა ჩვენთვის დიდი გამოცდაა, რომელსაც, იმედია, წარმატებით ჩავაბარებთ, – განაცხადა მბაპემ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. მოსაცდელი დარბაზი სასტუმროში, თეატრში; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ან პლატინის ნაკეთობაზე; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 5. საკონდიტრო ნაწარმი; 6. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 12. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში გავრცელებული დიდი მტაცებელი ფრინველი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 15. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 9. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. მოკლელულიანი შაშხანა; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 17. ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველების სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. სამთო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*